

გამომცემლობა ალექსანდრე გრიგოლის ძე უგუზოვისა, №1.

აბდულ-მესიანი

თ ხ ზ უ ლ ე ბ ა

იოვანე შავთელისა.

წიგნსაცავი

რედ. მ. გ. ჯანაშვილისა.

თბილისი

სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული № 1.

იოვანე შავთელი.

*სხვები საეროვნო სიამაყის გასაძლიერებლად თავიანთ ისტორიულ-ლიტერატურულ არემარეზე თუ ვერ ხედვენ პირველხარისხოვან მოაზრებებსა და მოღვაწეებს, ხშირად, ეკიდებიან სულ უბრალო მომაკვდავებს, გატაცებით ასწერენ მათს ცხოვრებას, ქარბად წინ სწევენ იმათს ღირსებას, ჰმოსვენ ბრწყინვალე შარავანდედით, უგებენ ძეგლებს და ანდალმებს, დიდებულად დღესასწაულობენ მათს სახსოვარს.

ჩვენში სულ სხვა ჩანს.

მაგალითად იმისა, თუ რა ძლიერი კაცი გვყავს თითქმის რომ მივიწყებული, სახლებიდგანა და სკოლებიდგან გამოგდებული, ჩათვლება ჩვენი იოვანე შავთელი, ეს, ჩემის ფიქრით, პირდაპირ გენიოსი ქართველი. მას მივიწყება კი არ ეკუთვნის, არამედ მით გვმართებს ამაყოფა, თავის მოწონება. შავთელი იყო ღვიძლი შვილი დიდის ეპოქისა და დიდის ხელოვნებითაც შეუდგა მის სათანადო შემკობას. იგი დამღეროდა საუკუნო ჰანგებს, შავთელი აფრქვევდა, უმაღლესად განვითარებულ და მდიდარ ენით, დაუქნობელ მარგალიტს დიდებისას, სიცოცხლისას, სიყვარულისას, ერთობისას, სიმტკიცისას, საუკუნოობისას.

დაეურთავთ მის შესახებ ყველა ცნობებს, რაც კი მოგვეძევა.

იოვანე შავთელისა არ ვიცით არც გვარი, არც წელიწადი და ადგილი დაბადებისა. ჩანს მხოლოდ, რომ იგი ყოფილა თამარ-მეფის თანამედროვე. იხსენიების იგი 1208 წელს: „ამ წელს მას გამოუთქვამს ზგალობანი ვარძიის ღვთის-მშობლისანი,“ იმ ვარძიისა, რომელიც ააშენა თვით თამარ მეფემ (იხ. ქვემო).

ქართლის-ცხოვრებით (გვ. 321): „იოანე, კაცი შავთელი, ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღვაწებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი.“

მარიამ დედოფლის წუსხით: „შავთელი, კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღვაწებათა შინა გამოთქმული“ (გვ. 501).

ანტონი კათალიკოზით („წყობ. სიტყვ“, 770—771:)

ნეტარი ესე პიიტკოსი, კაცი
მაღალ-გამომთქმელ, მოძღურებითა ბრწყინვალე,
სიბრძნის მოყუარე, მართალ მესილოგიზმე,
ღვთის-მმეტყუელები შეზმნილ ყოველსა შინა,
იოანი ბრძენ, შავთელ ზედწოდებული.

შოთასთქუა მისთვის:—უქესო ლექსი შავთელს;
და თამარ დიდის ისტორიათა შინა

შაირთ გამომთქმელ და წმიდად მოითხრობის.

განწმიდა ამან სარკე უბიწოებით

და მისცა ლმერთსა, რომლისა წინაზე სდგას“.

რუსთაველი (ტ. 1576): „აბდულ-მესია“ (უქია) შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“

„თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შე-

სხმაში“ ჰელატონ იოსელიანის შენიშვნა (გამოც. 1888 წლ., გვ. 1): „ძველსა დედანში ზედა-წარწერა წიგნისა ამის ესრეთ ეწერა: „დიდისა თამარ მეფის გიორგი მეფის ასულისა, დავითიან ბაგრატიონისა და მეუღლისა მისისა ბაგრატიონისავე დავით მეფისა სრულიად მპყრობელისა სამთა სამეფოთა და ხუთთა სამთავროთა შესხვა „აბდულ-მესია“ (მონა მესიისა) შავთელისა, რომელი იყო მდივანი მეფე თამარისა, და შემდგომად იქმნა მონაზონ, და უწოდეს სახელად იოანე, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათისა მონასტერსა შინა ეკლესიასა, რომლისათვის იტყვის რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსნის“ დამწერელი, კაცი ბრძენი, ლუთისმეტყველი და ფილასოფოსი და მრავალთა ენათა ზედა—მიწევნილი: „აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“.

თვითონვე შავთელი თავისთავს უწოდებს მწიკად და მსხუშად და თანამედროვედ იმათი, რომელთაც აქებს „შედაარე:

„მწირი და მსხემი, ეგრეთ დაჰსხემი, ქებისა ვიქმენ
თქვენთვის შემკარედ“ (54).

„მხნედ მისთვის ვაყო... უფალსა ჩემსა რამც გამ-
ყაროსა“ (11)

„მე მონა შენი... ვგონებ (98)

„მე გლახ არ გიძლენა: თქვენგან წარიღენა“ (99)

„თქვენთვის სიტყვა შევკრიბნეთ უნდო რამენით“ (101)

„ვერ გიძლვენ თქვენ საფერობით“ (107)

„თუმცა თქვენ შესხვად ვერ ვუძლეთ, თქვენ სცვა-
ლეთ ბნელი“ (108).

„ჩემთვის მაქს იმედ მისგან სულისა დამბეჭდვე-
ლობა“ (6)

„აბდულმესიანს“ ანუ თამარ-დავითის შესხმას გარდა შავთელის კალამს მიეწერება ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა შეს. ქართულ წელთ-აღრიცხვისა, რომელიც შეტანილია

გ-XIII საუკ. ხელნაწერში. ეს შრომა ისე დალაგებულია და ცოდნით შესრულებული, რომ ბროსე ამბობს: „ქართველებმა 1233 წელს უკვე იკოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპა გრიგორი XIII აიძულა შესდგომოდა კალენდრის შესწორებას“ (წინად წელიწადს თვლიდნენ 365 დღედ და 6 ეამად, და ნამდვილად კი წელიწადშია 365 დღე, 5 ეამი, 48 წამი და 48 წუთი).

ფურთავთ მცირე ცნობებს იმ კრებულის (პნ 85) შესახებ, რომელშიაც შეტანილია თვით გამოკლევა წელთაღრიცხვისა ანუ ქრონიკონისა. გვ. 316:

ოკუეთოვი ინდეს ცნობის, ესე არს თავი დივანთაჲ. რამეთუ რიცხვთუცთა დაკვრიაკეთაჲ, დღეთა, ეამთა და მარტულთაჲ. თურაჲ ზომ არიანთუცნი წელიწდისანი: კვრიაკენი ორბოჲ და 12-ნი, დღენი სამას სამეოცდახუთ და ნაოთხალ პირველი დღისაჲ. და ეამნი დღისანი ათორმეტ, ეამნი ღამისანი ათორმეტ და ერთორცხუად ოცდა ოთხ. ეამნი ყოველნი წელიწდისა დღეთანი ოთხათას სამას ოთხმოც. ერთ რიცხვადაყოველნი დღეთა და ღამეთანი რეჲ ათას შვდას სამეოც. მარტულნი დღისა ეამთანი ოთხგზის ბევრ ცხრასდა რეჲ. მარტულნი ღამისა ეამთანი იგივე ერთ რიცხუად ყოველნი მარტულნი ეამთანი ოთხბევო სამათას და რეჲ ას.

ესე ასურულისა კვლოსისა საძიებელი და მასწავებელი იამბიკონად თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე შავთელისაგან თქმულევად ამისთვის დაეწერე, რომელ ზემოსა საუწყებელსა შინა მეკსენა ამას კვლოსსა თანა ქრონიკონსაცა დაუწერუნ დიდსა წინამდებარეთა წელთასა. უკუეთუ თავთავად ვინმე დასწერდეს. ვინაჲთგან ერთი მეორისა მწეჲ არს ამას ზემოსა ქრონიკონსა მიჲანდევ და თანა აღარ დაუწერე. და ესე რიცხუნი შავთელისა იამბიკონთა ქუცმოჲთ მოსაკიდებელიყო და პირველ მას ხოლვე წაიკითხვედით და მეტეჲამას მწერალმან მუნ სხუჲა რამე მომიკიდა და ესე აღარ დაიწერებოდა.

ამას ზედა წარწერილსა უწინარეს დასწეოდით თავსა სრულისა ამის ქრონიკონისასა და რანიცა ნიშანნი დამესხნენ—ჯუარი ანუ სხუჲა რამე, ნუცა მას დააკლებთ და საუწყებელსა შინა გამოაჩინებს, თუ რაჲ არს ძალი ამით ნიშნთაჲ ანუ პატიეთა ზედა სიტყუად რამე ეწეროს ანუ იოტანი სხდენ ანუ ჩიტისთუალნი. თავსა ანუ საშუალსა სადამე ღუთისა ათნოჲსათვის მწერალნი ერთსაცა ამისთანასა ნურას დააკლებთ ნუცა ამას

ზედა წარწერილსა და ნუცა რას ქუცმოსა ამისსა*.

აჲ შესავალს მიჰყვება კკელოსის ნმჰ წლოვანი ცხრილი და მერჯ თვითმისი გამოძიება-გამოკვლევა მაგრამ არა იამბიკონად, არამედ მოთბრობად და შეთელს კი, როგორც ვთქვით. ქორონიკონ-კკელოსი დაეწერაო იამბიკონად.

ამგვარსავე შენიშვნას ეპოებთ შიგ ტექსტშიაც (გვ. 888):

„ამის ჯერისათვის სანთელი სულიერისა ფილასოფოსობისაჲ წმიდაჲ იოვანე შეთელი შეწყობითა **იამბიკონესათა** კეთილად და ღუივ შეუნიერად წარმოაჩინებს“.

ესეთი შენიშვნა ჩამატებულია გამოძიების იმ წერილში, რომელსაც ჰქვიან „უწყებდა დასაბამითგანთა წელთაჲთგანცა მასწავლელი: უკუეთუ შეგცილდენ ესე ყოველნივე რიცხვნი ამას ზემოდ წერილისანი“.

„ზემოთ“ კი სრულიად ცალკე წერილად, მართლაც, ეპოებთ (გვ. 61,) წელთა აღრიცხვას „დასაბამითგან“ და იქაც მოყვანილია ცხრილი კვკელოსისა, ხოლო არა ნმჰ წლოვანი, არამედ, როგორც სჩანს, დასაბამითგან სოფლისა თვით აუკსონის ეამამდე. სამწუხაროდ, ამ ცხრილის გადარჩენილა მხოლოდ წლითგან 468 წლამდე (ფრც. 112-63). ცხრილს წინ მიუძღვის შემდეგი საყურადღებო ცნობა:

„უწყებდა ჯერ არს ეამთა და წელთათვის.

თუცნი წელიწდისანი **იბ**, კვრიაენი **ნბ**, დღენი **ბჲ** და ნაოთხალი დღისაჲ, რომელ არს **სამი** ეამი და ამის მიერ იქმნების **ნამი**. ეამნი დღეთანი **წბ**, ლამისანი **წბ**, ერთრიცხუად **ლჴ**. უკუეთუ გინდეს ცნობაჲ ნაკისაჲ, თუ სადაჲთ მოვალს. დასაბამსა ოდენ ქმნა ღმერთმან ნათელი და განაწესნა ეამნი: **ბ** ეამი იყო ნათლისაჲ **ზ** მათ დღეთა უმეტესი გარეგან და უფლისა ჯუარცუმასა უკუნილო ბნელმან, ხოლო სულისა წმიდისა მოსლევასა დღესა მარტვირისა უკმოილო ნათელმან **სამი** იგი ეამი და რაჲწელ **ბ ჴ***) ეამი დაერთვის და წელსა **დ** განსრულდების **ი ბ** ეამად და იქმნების დღედ, რომელი დაერთვის ფებერვალსა და ამას ეწოდების **ნ ა კ**.

„მოთბრობდა სულ მკირე ვასილოღრაფისგან რიცხვთათვის დასაბამთაგან გარდასრულთა წელთაჲსა:

ადამისითგან წყლით რლუნადმდე გარდაკდეს წელნი **ც ხ მ ბ**

წყლით ოლუნითგან ვიდრე გოდლის შენებადმდე **შ კ ი**

გოდლის შენებითგან ვიდრე აბრაჰმისადმდე **შ კ ი**

რაჰმისითგანედრვიბთ გამოსლევამდე ძეთა ისრაჰლისათა ეგვიპტით

*)სამ-სამი

ევგიპტით გამოსლვითგან სოლომონის ტაძრისა შენებადღე **ქ ი ზ**
 ტაძრის შენებითგან ვიდრე ტყუსობადმღე ისრაჲსთა **ვ კ მ**
 ტყუსობითგან ვიდრე ალექსანდრეს მეფისამღე **ბ ი ს**
 ალექსანდრეს მეფობითგან ვიდრე ქრისტესამღე **ბ ზ**

ერთბამად **სუთათას ხუთასი**

ქრისტესითგან ვიდრე დიდისა კოსტანტინეს მეფობადმღე **ბ ი ს**
 კოსტანტინესითგან ვიდრე მიხაელ მეფისა თეოფილეს ძისამღე **ს მ ი**

მიხაელ მეფისითგან ვიდრე ალექსი კომინანოსისამღე **ს მ ე**

ალექსისითგან ვიდრე დღენდელად დღედმღე **რ ჯ**

ხოლო დასაბამითგან ვიდრე დღენდელად დღედმღე გარდაცდეს
 წელნი **ს ლ ი ზ**

და აწ ამას წელსა შინა ვართ: ოდეს ესე დაიწერა ქორონი-
 კონი მეთათჱმეტელ ქცეული იყო **ბ ო მ ზ მ ო ც ლ ა მ ე ა თ ო რ მ ე ტ ე**“.

აქ ორნაირი თარიღა: ერთი—წერილის გადაწერამღე და მეორე
 თვით მის დაწერის წლამღე. პირველი უდრის 1273 წელს.

ა) დასაბამითგან $6773 - 5500 = 1273$

ბ) $318 + 550 + 245 + 160 = 1273$

გ) ალექსი კომინანოსადმღე 1113 ჰმისგან გადაწერამღე
 $160 = 1273$.

დაწერისას მე-13 კინკლოსისა ყოფილა 392, რომელიც უდრის 1172
 წელს. ამ წელს, ალბათ, შავთელმა ან სხვამ ვინმე ვასილოვლრაფიდგან
 ამოკრიფა ზემო მოყვანილი ცნობები უამთა თვლის შესახებ.

თვით კვკლოსის გამოძიების დასაწყისშივე ასეთი თარიღია.

„წელთა დასაბამითგანთა შვდითათსთა იტყვან წიგნნი წერილთანი ვი-
 დრე ალექსანდრესამღე. და ესე **სუთას ოცდა თორამბი** წელიწადი
 არს ერთისა ქორონიკონისაჲ და რაჲ დასრულდეს, ბოლოსა ამისსა იგივე
 შეუთქს, რომელი თავსა დაწყებულა, თორმეტჯერ უწინარეს ამისსა ქცეუ-
 ლა და აწ ამას მესამეტესა შინა ვართ და ამისი **ოთხას ორამომცდა**
ათცამბი წელიწადი გარდაცდა წელს. ხოლო დასაბამითგან ყოველნი-
 ვე გარდაცდეს **მეშასათას რვაას ოცდაჩვამბი** წელნი“

აქ აქსონი მიჰყვება ქართულის თვლის რიგს და ორივე თარიღი
 უჩვენებს 1233 წელს: ა) $780 + 453 = 1233$; ბ) $6837 - 5604 = 1233$.

იქვე შენიშნულია ავქსონის მიერ: „წელს ბერძენი ექუსიათას შკდას ორმეოცდა ერთთა. წელთა თუალევენ სოფლის დასაბამითგანთა და ჩუენ ქართველნი ოთხმოცდა ათექუსმეტითა წელიწდითა წინ უძვდთ სათუალავსა ბერძენთასა“.

ეს თარიღებიც უდრიან:

ა) ბერძნული 6741-5508 = 1233.

ბ) ქართული 6741+96-5604 = 1233.

შედის-რა ავქსონი გამოძიებაში **ზედნადებისა, ცამხტორისა, ხუთეულისა ექუსეულისა, დღისსაძაებელისა, მცხრადისა და სხ.**, კიდევ იძლევა რამდენიმე ცნობას თარიღების შესახებ. ხოლო ყველა ამ თარიღებიდგან ცხადად ჩანს, რომ ჩვენის ძვირფას ძეგლის მიერ დაცული წერილები სხვა და სხვა დროს დაწერილან და იგინი თვითმკერებულეს შეუკრებია და შეუტანია მასში (პ. 85). თვითმკერებულის გადაწერის თარიღად უნდა დავდოთ 1273 წელი, როდესაც გადამწერო შენიშნავს, რომ დღეს ჩვენ ვართო დასაბამითგან 6773.

რომ შავთელი თამარ მეფის თანამედროვე იყო და არა დავით აღმაშენებლისა, ამას ნათელს ჰყენს ის გარემოება, რომ თამარი და შავთელი ერთად ლოცულობენ ვარძიაში, რომელიც ააშენა თამარმა, და ამავე ვარძიას ღვთის-მშობელს შავთელი უძღვნის ქება-გალობას მონიქებისათვის მტერთა ზედა ძლევასა (იგულისხმება 1203 წლ. ომი)

1203 წელს როკნ-ედ-დინმა რომ მუქარა შემოუთვალა თამარ მეფეს, ამ თამარმა თვისი ლაშქარი წაიყვანა ჯავახეთს, შეავედრა იგი ვარძიის სასწაულ-მოქმედ ღვთის-მშობელს, მერე გაუძღვა ბასიანისკენ, ლაშქარი დალოცა და გაისტუმრა ბოლოსტიკეს, საცა მტერი დაბანკებულიყო, და თვითონ მობრძანდა ოძრხეს. აქ მასთან იყვნენ მრავალნი წარჩინებულნი და თვით მგოსანი შავთელიც.

ეს ვარძია ის-ის იყო აკშენებინა თვით თამარს და მას-
ში დაესვენებინა ხსენებული სასწაულთ-მოქმედი ხატი დედი-
სა ღვთისა, რომელიც თამარს მიაჩნდა თავის მწედ და მიზე-
ზად თვისის გამარჯვებითი მეფობისა. მემატიანე სწერს:

თამარმა „ხელჰყო აღშენებად საყოფელსა განმამარჯვე-
ბელსა თვისსა ზემოთა კურთხეულისა ვარძიისა ღუთისმშობე-
ლისასა ზემო-ვარძის ქვემო ვარძიითა მიცვალეებითა, რომე-
ლიცა კლდისაგან გამოკვეთა თვით პატიოსანი ეკლესია და
მონაზონთა საყოფელი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუ-
ალ და უბრძოლველ იყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო
სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა
და დაეტევა, რომელ დიდმან ამან აღასრულა, და შეამკო ყოვლი-
თურთ, და შეწირნა მრავალნი და დიდროანნი სოფლები, და
შეუმზადა ტრაპეზისა შემოსაყალნი და სხვანი შემკობილე-
ბანი, რომელი ყოვლისაგანვე მოთხრობა ძნელ არს: თუ
ვისმე ნებავეს, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ნაშენებნი
და ქვაბნი გამოკვეთილნი, თუ ვითარ თამარ გულსიდგინა
მსახურებად უბიწოსა და განსაკრთომლისა სასწაულთა მოქ-
მედისა ვარძიისა ღუთისმშობლისა. ამისთვის უმეტეს იდიდა
მეფობა მისი“.

აი ამ სასწაულთ-მოქმედ ხატს, ვიმეორებ, შეავედრა
თამარმა თვისი ლაშქარი 1203 წელს.

„მწრაფლ მიმართეს ტაძარსა ყოვლად წმიდისა ღვთის-
მშობლისასა ვარძიას, და ვარძიის ღვთისმშობლისა წინაშე
ცრემლით შევედრა (თამარმა) სოსლან დავით და სპა მისი
და დროშა ბედნიერად ხმარებული და წარგზავნა ვარძიით
ლაშქარნი, რომელთა თვით თამარ უძლოდა წინა შიშველი-
თა ფერკითა და ცრემლითა ასოვლებდა ლაწვთა მისთა“

ამავე დიდებულ მონასტერს მოჰმართეს თამარმა და შეეთელმა მაშინაც, როდესაც ქრისტესთვის სულელ ქმნილმა სალოსმა მათ წინაშე იწინასწარმეტყველა როკნ-ედ-დინზედ ქართველების გამარჯვება. ასრე იყო (ქ.ცხ. 322):

„დღესა ერთსა, აღესრულა-რა ჟამის წირვა ზემოხსენებულისა ევლოგის (სალოსის) მიერ, განკვირვება დაეცა ევლოგის, და იწყო ღალადებად სულელისა მგავსად და იწყო აღმართ ხედვად და ვითარ ხედავდა ევლოგი და ვითარ აღმოხედავდა, კმა ყო ევლოგი კმუნვის სახედ და სამგზის ახლტა, აღიტყველნა კელნი: „აჰა დიდება ღმერთსა! ქრისტე ძლიერ არს. კელო ევლოგის სპარსთაგან არა გეშინის. განუტევეთ, რათა ვიდოდის მშვიდობითა“. ცნეს ყოველთა, რამეთუ წინასწარმეტყველებით იყო სიტყვა მისი. არამედ ევლოგი არავის-რა გამოუცხადა საიდუმლო თვისი თვინიერ იოანე შავთელისა, რამეთუ მას ოდენ აუწყა, ვითარმედ „ჟამსა ამას მოსცნა ღმერთმან ბარბაროზნი საძლეველად კელთა ქრისტეანეთასა“. და მყის წარვიდა ევლოგი, და ივლტოდა, და აღვიდა მთასა, რომელსა ჰრქვან არაგანნი“ (ნუსხაში: „წარვიდა ევლოგი პირისაგან მათისა და დაიმალა“). მაშინ შავთელმა ჰრქვა: „უწყოდე, მეფეო, რომელ ჩვენება იხილა სულელ საგონებელმან, გარნა ჩვენებასა კეთილსა ვგონებ“. ამისთვის დასწერეს ღღე და ჟამი იგი.“

მართლაც, სწორეთ ამ ჟამს, აღდგომის დღეს, ქართველებმა გატეხეს მტერთა სიკერპე, შემუსრეს, თავზარი დასცეს, დაღეწეს. და ამისთანა დიდ ბრწყინვალე და სახელოვან გამარჯვების მონიკებისთვის თამარი და იოანე შავთელი მივიღნენ ვარძიას. მაგრამ განვაგრძოთ მათიანის სიტყვითვე: „მო-

წყაღებან ღმერთმან პირველ შესახა ესე ყოველი ნივთთა აგება უკანასკნელსა ხსნისა ჩვენისათვის და მოწყალება მასვე დღესა შინა სახა ხსნა ჩვენი აღდგომითა თვისითა და ესრეთ მხიარულითა პირითა სახელგანთქმულნი ნოვიდეს ვაჭძიას, თვით თამარიცა მოვიდა და ჯეროვანი მადლობა შეწირეს ამათ დღითი დღე წარმართებულთა და გადიდებულთა შინა სკიპტრის მპყრობელთა უმეტეს. თამარ უმეტეს შეუმატებდა ღუთის მსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კაზმასა და შენებასა (მარიამ დედოფლის ნუსხა 508).

ხსენებული ბოლოსტიკეს სასტიკი ომი გამოიწვია გაამაყებულ ნუქარდინის განცხადებაჲ: სულტანი ყოვლისა ცასა ქვეშისა უმაღლესი, მიმსგავსებული ანგელოსთა, თანადგომი ღვთისა, მოვლინებული დიდისა მაჰმადისაგან, მოგიმცნობ შეფესა ქართველთასა თამარს: ყოველი დიაცი რეგვენია! შენ გიბრძანებია ქართველთათვის აღებად ხმლისა და ღვთისაგან საყვარელისა ისლემთა ერისა დახოცად, და კვალად ნათესავსა თვისუფალსა დადებად ხარკი ყმებური. აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა და განგწვართო შენ და ერიცა შენი. ცხოვრებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყვანის მცეს წინაშე კარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მოჰხად მოციქულისა და უარჰყოს შჯული შენი და კელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯვარისა, რომლისა მიმართ დაგიტო ცუდი სასოება. აწ მოელოდე ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა“ (ქ. ცხ., 3190).

სულთნის მუქარას თამარი მიეგება ვაშკაცურად, არა დედლად.

დაუყოვნებლივ ბრძანება გასცა. ყოვლის მხრიდან ცოტათა დღეთა შინა „შემოკრბეს ვითარცა ვეფხენი სიკისკასითა და ვითარცა ლომნი გულითა“.

თამარმა წაიყვანა თვისი მხედრობა ვარძიას, შეავედრა

ყოვლადწმიდას და წაუძღვა ბასიანის მხარეს. აქედგან სულ-
ტანს მისწერა, გაუწყებ, მოვდივართო. შემდეგ თითონ თა-
მარი დადგა მალლობზე. აქ პირქვე დაემხო, ილოცა ტკბი-
ლად, მერე წარმოდგა, ძელს ჯვარისას ხელი მოჰკიდა (ჯვარ-
მტვირთველად იყო ბასილი) და ლაშქრის წინამძღოლებს
უბრძანა, მოდიო, ეამბორენითო. მოვიდნენ, მოწიწებით
ეამბორნენ ჯვარს და მერე თამარის მარჯვენას. ამხედრნენ-
რა მოლაშქრენი, თამარმა თავის ხელით აამალლა ჯვარი და
მხედრობას „ნიში ჯვარისა გამოასახა“ სამ-გზის, დალოცა და
გაისტუმრა დავით სოსლანის წინამძღოლობით.

თითონ კი თამარი ოძრხეს მობრძანდა. თან ახლდნენ
კათალიკოზი თევდორე, მრავალნი ეპისკოპოსნი და მონაზონ-
ნი და აგრეთვე ჩვენი იოანე, კაცი შვეთელი. ყოვლად გან-
თქმული და მოღვაწებათა შინა ფილასოფოსი და რიტორი
ლექსთა გამომთქელი“.

ქართველთა მხედრობა მიესია მტერს, შეაშფოთა, შეა-
რყია, თავზარი დასცა, დახოცა, დაფანტა. ნუქარდინი
ძლივს გაიქცა. აუარებელი მისი სიმდიდრე ქართველებს დარ-
ჩა და აგრეთვე მრავალი ტყვე, სარაფარდაგი და სხვ.

საყურადღებოა წვლილადობა. „იხილვებოდა საქმე სა-
კვირველი, რამეთუ თვით (ტყვენი) იყვნეს მსახურ თვისისა
შეკვრისა, რომელნი განერჩნეს პირსა მახვილისასა: უდიდესი
მათი შეიკვროდა უმცირესის მიერ თვისისა, და უწარჩინებუ-
ლესი მათი მოიყვანებოდა გამომბული ძუასა ცხენისა, და
ერთითა საბლითა ერთისა კაცისა მიერ შეიკვროდა ოცი, და
თმითა გამოებოდა ერთი ერთსა: ყრმისა მიერ მცირისსა
უმჯობესნი მბრძოლთანნი მოიყვანებოდეს ვითარცა თიკანნი.
გამოიძივნეს ყოველნი ადგილნი და გაქცეულთა ხოცდეს,
ხოლო ნეშტთა, ვითარცა მართვეთა ქათამთაისა, მოჰკრეფდეს,
და გაუშვებდეს აუარცხელსა სიმრავლესა, რამეთუ ასსა სპარ-
სსა ერთი ქრისტეანე ძლით მიხედებოდა წარმოყვანებად“
(ქ. ცხ. 323).

აშახედ დიდი და სახელოვანი გამარჯვებები ხვდით ქართველებს სხვა დროსა და სხვა ადგილებშიაც. განჯის ბრძოლაში ხომ თვით ხალიფას დროშაც წაართვეს დამარცხებულებს

ყველა ეს გაზვიადებდა არ უნდა გვეჩვენოს. თვითონ არაბელ-სპარსელთა მწერლებიც ბევრს საყურადღებო ცნობებს იძლევიან. თითო-ოროლა:

„1202—1203 წელს ქართველებმა აიღეს დვინი, აიკლეს და მრავალი ხალხი ამოჟლიტეს... მაჰმადიანთ მიწა-წყალში ქართველები ნავარდობდნენ, აქაურობას იკლებდნენ და აოხრებდნენ... ქართველებისაგან დვინელთა ხოცვის და ტყვე ქმნის იმისთანა ამბები გავიგეთ, რომ გასაგონადაც შესაზარია. ღმერთმა უკვე იცის, რაც იქ მოხდა“ (მოამბ., 1897 XII).

„1205—6 წ. ქართველები მრავალის ჯარებით გამოემართნენ ქელათის ქვეყნისკენ, სომხითში, აიკლეს და მრავალი მცხოვრები დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს. მთელს ამ ქვეყანაში ისე დათარეშობდნენ, რომ მათ მოწინააღმდეგედ არავინ გამოჩნდა, და ისინიც დადიოდნენ და იკლებდნენ და ატყვევებდნენ“ (მოამბ. 1898, № 1 გვ. 22).

1206—7 წ. ქართველებმა აიღეს ქელათისაგან დამოკიდებული სიმეგრე ყარსი. ვიდრე აიღებდნენ, გარს ერტყნენ დიდ ხანს. დიდად შეავიწროეს მკვიდრნი და რამდენიმე წლის განმავლობაში ხარჯსა ჰკრეფავდნენ. მათ საწინააღმდეგო შეველა არსაიღამ იყო. ბოლოს ღმერთმა თვით იტვირთა ისლამთა მფარველობა: მოჰკლა ქართველთა დედოფალი, ქართველებში უთანხმოება ჩამოაგდო და დაიფარა მათგან მოსლემინნი ამ წლის დამლევამდე“ (იქვე 25).

1204 წელს თამარ მეფის ლაშქარმა დაიპყრო ტრაპიზონი და მისი არე-მარე. აქ დაწესდა ცალკე იმპერია — ტრაპიზონისა.

თამარი ამ ხანს უკვე მფლობელი იყო იმ მიწისა, რომელსაც რწყავენ მტკვარი არეზის მარცხენა კიდეზე, რიონ-ინგური და კოროხი.

არასდროს საქართველო ისე ვრცელი და ძლიერი არ ყოფილა, ვით თამარის მეფობაში.

ყველა ამის მხილველი იყვნენ შავთელი, ჩახრუხაძე და შოთა რუსთაველი. ესენი თავიანთ ნიქს ახმარებენ იმს, რომ როგორმე ღირსეულად შეაქონ ბრძენი დედოფალი, რომელმაც დიდი სახელი მოუხვეჭა სამშობლოს. შაგრაშო, დასძენენ იგინი ერთხმად, ჩვენის პატრონის, ჩვენის ხეშვიფის შესაფერი ქება, შესხმა ჩვენ არ ძალგვიძსო, ამისთვის ჩვენი ნიქი და ცოდნა არ კმარაო: თამარის ღირსეულად დამაფასებელი არა სჩანსო არათუ ჩვენს არე-მარეზე, არამედ თვით განათლებით განთქმულს მსოფლიო კერძას — საბერძნეთსაც. აქედგან რომ მოვიდნენ გუნდნი ფალოსოფოსთა ხოკრატ-პლატონ-არისტოტელითურთ, რომ ამათ მოიყვანონ თვით ვარსკვლავთ-მრიცხველები, მაინც ესენიც თამარის შესაფერ შესხმას ვერ გამოსთქვამენო!

ყური დაუვგდოთ თამარის მგოსნებს:

შოთა შენიშნავს (ტ. 33). „ბრძენი ჰხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასულია. „ბევრი“ უწინ ნიშნავდა რიცხვს და უდრიდა 10,000-ს. მაშასადამე, სხვანაირად რომ გამოვსთქვათ შოთას ნათქვამი, მივიღებთ ფრაზას: თინათინის (თამარის) მაქებელის ენა ჩვეულებრივ მომაკვდავის ენა არ უნდა იყოსო, არამედ ამ ჩვეულებრივ ენაზედ ათიათასჯერ მეტად ამაღლებული ენა, გაზეებული, მეტის-მეტად მჭერვ-მეტყველ ბრძნის ენაო.

ჩახრუხაძეს სიტყვები (შესხ. 1):

მო, ფილოსოფოსნო, სიტყვითა არსნო,

თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა!
დიონოსისგან, ვით ენოსისგან,
სრულნი ქებანი ამ მძლეთ ძლიერსა!
სოკრატ სისრძნითა, სარამა გრძნითა
ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა!
უმბროს, პლატონ სიტყვა დამატონ,
თვით ვერა მიხვდნენ შესატყვიერსა!

შავთელი (შესხ. 2);

შემოკრბით ბრძენნო, ათინელთ ძენო,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,
კრიტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიტეს. მაშრიყს,
ჩინეთ ჩინეთსა, თარშის ქებულსა!
რომელნი ელნიო (ელჯინობთ) რომელნი (რომა
ელნი) ელნიო (ელჯინებთ).

თავს სოკრატისებრ სწავლის გებულსა,
ვარსკვლავთ მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკითხველნო
ვერ ძალგიძთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა!

რადგან ეს ასრე იყო, ამიტომ შავთელს იმის მეტი
აღარა დარჩენია. რა, რომ თავისი თხზულება — შესხმა დაა-
სრულოს სიტყვებით: „თუმცა თქვენ ბრგენილთა უნდო
უხმართა.

„ენათა მიერ შესხმად ვერ ვუძლეთ,
თქვენ სცვალეთ ბნელი, წყვილიადი ბნელი
მხედ ნათლად ცხოვლად და განანათლეთ:
განმართეთ ცუდნი, სიტყვანი მრუდნი
კეთილად სცვალეთ და განამართლეთ.
გვედრებ თქვენ სულად: ქებისა წილად
ჩემგან დუმილი თვით მიითვალეთ“

ასეთივეა, თუ არა იგივე, უკანასკნელი სიტყვები თა-
ნამედროვისა, თამარის ცხოვრების დამწერისა. იგი დაასკვნის

თავის თხზულებას: „აქა დავხში სიტყვის წყობა მომავალთათვის ყოველთაგან აწინდელთა სხვათა ძლევისა მიცემითა ყოველთადა უმჯობეს შესატყვის შესაძლებელიად სახის მეტყველებასა უალრესისა სიტყვისასა პოვნით და ამისთვის ჩვენ მიერ დღემლით პატივცემით დივიდუმით“ (ქ. ცხ.. 338)

შავთელი დიდი, ფრიად დიდი მწერალია, ჩინებული მგოსანი, მგოსანი ფილოსოფოსი.

თანამედროვე ამბები და მოქმენდი ასულდგმულენ მას.

სამშობლოს წარმატება მისი ცხოვრებაა.

საქართველოს ძლევა-მოსილობა მგოსნის გულის სიტკბოებაა.

თამარ-დავითის ბრძნული საქეთ მპყრობელობა— მისი განცვიფრებაა.

შავთელის

ენა ბასრია, მდიდარი,

ხან ნაზი, ნარნარი, მკვეთრი,

ხან მქახე, მქუხარი, მძაფრი.

„ზევების“ ამბებს მოგვითხრობს,

ზევებერივ ენით მეტყველობს.

სამშობლოს ისტორიისა და მწერლობის გარდა მან კარგად იცის მსოფლიო ისტორიაც. აკამათებს ბერძენ-რომელთა ფილოსოფოსებს, სწავლულებს, ბიბლიის დამწერთ, აღმოსავლეთის გმირებს და შესანიშნავ კაცებს.

შავთელის ხოტბისა და შესხმა-შექების საგანი, ვიმეორებთ, დავითია ჭ თამარ მეფე, რომლის ბადალი დედა-მიწის პირზე სხვა არ არის, რომელს „მთა ვერად სწორავს არარატისა“. მაგრამ ეს ასე მაღალია არა მარტო თავით თვისით, არამედ დავით სასლანთან ერთად. ქვეყნის საქე უპყრია თამარს, სახელმწიფო ხომალდის გამგე თვითონაა, ხოლო ამ ხომალდის მეხოპედ დავითი, რომელსაც მესაქე ბრძნულად „აქალაქებს“

და „აქამანდებს“... მტერთა დასამხოზად. საქეთმპყრობელს ავქსონი მიჰმართავს სიტყვებით (ტ. 9): მხედ ხარ ასუღო, მკვრეტელთაც სული“.

მისი ქმარია ოსი, ლომი კაცი.

„აწ ესე ლომი (დავით სოსლანი) მისთვის (თამარისთვის) აღეგო კეთილ—სახმარედ“ (ტ. 21).

„მასთანა (თამართან) შორად ართუა შორად ელი ამ ოსით“ (დავით სოსლანით) (ტ. 24)

ქალს და არა ვაშკაცს შეჰფერის სიტყვები:

„ვარდო ფურჩენილო, ცვრით განბანილო,
ნერგო სვიანო დავითიანო!

ვინ კისკასია, სუნნელ კასია?

ბალასნად კმოლავ და ვით იანო!“ (ტ. 51.)

ვაშკაცს უქებენ არა „ვარდობას“ „იაობას,“ არამედ მკლავს, ლომობას, ძლიერებას. ასეთია სწორედ დავით სოსლანი (ტ. 21 და სხ.).

თამარი არის „კაცთა მკოდვისა და მომკოდვისა, შეიწრებისა არ მომთჳინო“. აგეთივეა იგი ქართლის ცხოვრებით (გვ. 283): „შორს იყო იგი ყოვლისა მესისხლეობისა, თვალთა დაბნელებისა და ასოთა მოღებისა,.. არცა თუ უბრძანა ტაჯგანავი ვისდამე დაკვრად“ (შეად. აგრეთვე გვ. 324) ხოლო დავით სოსლანი კი „ჰკლავს, ჰკაფავს, უწყალოდ. სრესავს, აგლახაკებს, ეღეტავს“ (ტ. 11. 29, 30, 32 და სხ.) დავით აღმაშენებელი ხომ არა ტაჯგანას მარტო, არამედ ბასრს მახვილს ამუშავებდა და მით ლეწავდა სამშობლოს ყველა მტერს.

თვით ეს ეპოქაც არა ჰგავს დავით აღმაშენებლის ხანას. მან, მართალია, გაიმარჯვა მტრებზე, მაგრამ მას არ დაეპყრა ტრაპიზონი და დიდი ჯიმშუდი (სპარსეთი), მის ღროს მეფეები არ იმარხებოდნენ გელათს, მისღროს არსებობდა ღროში „გორგასლიანი“ და არა „დავითიან გორგასლიანი“, რო-

გორც თამარის ქმს.

ამას გარდა, დავით აღმაშენებელს თანამედროვეთაგან ბევრი ემდურებოდა „მოუსვენარი“ და „უსამართლო“ იყო, ზოგს ამალღებდა და ზოგს ამდაბლებდა. (ქ. ცხ. 259—260), ხოლო შავთელის გმირი კი იყო „ყოვლად ყოვლითურთ ბიწ—შეუხებლად სიწმიდის ბრძმედი“ (ტ. 42), „თვით ბჭეთა ბჭელი მტკიცე ბეჭელი, მეწღე სიტყვათა სიმაართლისათა“ (ტ. 47)

რაფერს ცხენზე ჯდებოდა ხოლმე დავით აღმაშენებელი არა სჩანს, ხოლო დავით სოსლანის ცხენი კი იყო ზერდაგი ანუ, როგორც განმარტავს საბა ორბელიანი, ყვითელ-შავი. დავით სოსლანიც პოეტს უნახავს, რომ „მორბედად შავსა ტაიქსა ზე ზისა“ (ტ. 49).

მგოსანი მე-53 შესხმაში ამბობს: „არ ვეთავსდებით სიბრძნისა ზღვასა თამარ პირმშოსა“, ხოლო მე-98-ში განაგრძობს: „ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ, დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდვილად; აწე რისხვითა აწე ერი სხვითა გზით წარუვლინოს უკუნსაქცევლად“ და მე27-ში კი განმარტავს: „ისაკებრ ზიამშობ კურთხევით, ნიშობ მელქისედეკის ლოცვით ზედა-მთით“. სწორეთ „ასრე“ გამეფდა თამარი დიმიტრის მაგიერ და „ასრევე“ ტახტი ერგო თვით დავით სოსლანსაც. დავით აღმაშენებელი კი პირმშობის უფლებით არ გამეფდა, ვინაითგან მას შობითგანვე ეკუთვნოდა ასეთი უფლება.

მე-108 შესხმაში გვხვდება შეყრილობა სიტყვებისა „სარამარ გრძნისა“, ასრევე იწოდებოდა ერთი იმოცთა, რომელთაც კაიაფას თავმჯდომარეობით ქრისტეს გადაუწყვიტეს შებჰრობა ღდასჯა: „;უმჯობეს არს ერთისა სიკვდილი მთელის ერის დანთქმასა“, დაასკვნა ოცისაგან შემდგარმა სინედრიონმა. ვიღრე ამას დაასკვნიდნენ, ყველა დამსწრემ თავთავისი აზრი წარმო-სთქვა და სარამაც. „სარამი თქვა: „გავაგდოთ უსჯულო ამ ქვეყნიდამა“ (იხ. წერა კითხ. №1536 გვ 96).

ამ სარამის აზრი საკვირვლად ემსგავსება იმ ქართველები-სას, რომელნიც ვერ იფერებდნენ საქართველოში დავით სოს-ლანის გამეფებას.

დროს განშავლობაში შავთელის ნაწერი ადგილ-ადგილ ძნელად გასაგები გამხდარა, მაგრამ ვაიელის ჟამი, გაცხო-ველდება და განვითარდება ქართული ენის შესწავლის საქმე და ამ დაბნელებულ ადგილებს სათანადოთ გამოაკვევაც შე-საძლებელი გახდება, და მაშინ „აბდულ-მესიანი“ მკითხველს შეეცემა ხელში ისე, ვით გამოვიდა თვით შავთელის ხელიდამ.

მ ჯანაშვილი.



ა გ ლ უ ლ-გ ე ს ი ა ნ ი.

თამარ მეფისა და მისის ქმრის დავით სოსლანის შესახებ
იოვანე შავთელის მიერ.

1. სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან,
მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად
გიძღვნა ქებანი: მწადს აქ ებანი¹⁾
და, ვით ის დავით², ვუჯღღე მუსიკობად.
მე, სმა ზევსური რა ვნახე,³⁾ ვსური⁴⁾,
რომ სიტყვა შეთხზნეს მეფისან⁵⁾ ძნობად⁶⁾,
მუნ გულისკმობით⁷⁾, თვით გულის ხმობით⁸⁾
კარი სიბრძნისა⁹⁾ სულელთა¹⁰⁾ ცნობად.

2 შემოკრებით, ბრძენნო, ათინელთ ძენო¹,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,
კრიტს²⁾, ალაბს³⁾, მალრიბს⁴⁾, ევიპტეს, მაშრიყს,⁵⁾
ჩინეთს ჩინეთსა⁶⁾, თარშის⁷⁾ ქებულსა!
რომელნი ელნით⁸⁾ რომელნი⁹⁾ ელნით¹⁰⁾
თავს სოკრატისებრ¹¹⁾ სწავლით გებულსა¹²⁾,
ვარსკვლავთ მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკით-
ხველნო,¹³⁾
ვერ ძალგიდთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა!¹⁴⁾

3. ძე¹⁾ აღამისი მსგავსად ამისი
ვისცა ეხილვონ, მამცნონ,²⁾ სად არი?
ღმერთმა სამოთხით მოგვეცა სამოთხით³⁾
ეთერ ბრწყინვალე მზეებრ სადარი;
ღმოსავლეთით და დასავლეთით,
სამხრით ჩრდილომდის ჰჰოონ, სად არი
ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით⁴⁾
უქანასკნელით უფსკრულ სადარი?

4. ვიწყოლა ქებად, ძვილ¹⁾ შეკადრებად,
მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი:
მხნე, ლმობიერი, ქველი, ძლიერი,
ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი,
შირავენდ გმირი²⁾, ორგულთ გამგძირი,
მტერთა ქვესკნელად დამამზობელი,
რიტორი ბრძენი, მეფეთა ძენი³⁾,
ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი⁴⁾.

5. დავითისადა დავითისადა¹⁾
ფუჟა უფალს სიტყვა მტკიცედა:
„ნაშობნი შენნი შენ მიერ შენნი
ღვესვი მსაჯულად საყდარსა ზედა²⁾.
ესე³⁾ მისითა⁴⁾ ესე⁵⁾ მისითა
კურთხევით უფლობს ძალთა⁶⁾ შემეწედა⁷⁾.
აქა მით მორჩი⁸⁾, აქ ამით მორჩი⁹⁾
სატუხელებსა¹⁰⁾, ართუ არედა¹¹⁾

6. არ იონათან, არიონათან¹⁾,
ვინ ქმნა მას ზედა ზეთ-მცებელობა²⁾
დასცხრა, დაყუნდა³⁾, მისგან განკუნდა
უგლიმთა⁴⁾ ბორგით ზარ-მცემელობა.

დავით⁶) ძლიერი, მხნე საშინელი,
უფლობს და მთავრობს ურჩთ შემწველობა.
ვაჭონებ⁶) მაქსიმედ⁷), ჩემოვის მაქს იმედ
მისგან სულისა დაპბეკდველობა.

7. კმობს მერცხალისად ამ მერცხალისად:
კმბ. ტკბილ მკმობარედ იადონისად¹)
ნადვი ლიბანიტ²), სარო³) ერმონით,
ფინიკად ზრდილი ენაგდიმისად,
ნერგად ვარდისად იერიქოსად⁴)
სხვამკ რად ვახსენო მსგავსად ამისად?!
ა საფიციარი: ასაფუც არი,⁵)
დამამტკიციარი წინასწარისად.

8. ბოლუქ-ბოლუქად¹) მყის²) სისალუქად³)
ბრძენი რიტორებს მისთვის სამოთხით:
,,მირონ-გუნდრუქად, შტახსად⁴), კასიად,⁵)
თაფლად, მანანად, სძედ სთქვეს სიპოხით;
ოქროდ სემურად⁶), ალვად⁷) ქამურად,
აღვად კინამოდ⁸), სარდარ⁹) სიროსით¹⁰),
ნარგოზ, ლავროტი¹¹), ია მაკროტი¹²)
მისთვის ამსგავსეს, რომ არს სამოთხით“.

9. გავსილო¹) ამით, გავ²) სილოამით³)
შეცოდებისა ბიწთა⁴) წარმღენელად.
ვმოწმობ სულეებსა დასახულეებსა⁵)
სამარადისოდ სჩნდე განუხრწნელად.
მხნედ ხარ ასუფა⁶), მკვრეტელთაც სული⁷),
აღვისხე ტანი, რტო განფენილად.
გხედვენ რაღა მით⁸), მოსრენ რაღა მით,⁹)
მიწვენული ქმენ¹⁰) თვით¹¹) სიკვდილ ქმნილად.

10. მზრდელ არს მონათა¹⁾, ზეცით მონათა
ივლისის მზემან ზედ ლომსა ჯდომით²⁾
ტომნი და ერნი, ყრმანი და მლდელნი
ადიდებდიან შეგებით და ხლდომით;
არიან მხეცნი, მთანი და ბორცვნი,
მალნარნი ველნი მისთვის შევრდომით.
შემუხრავს, შეფქვავს, თხემსა ვის ერქვას³⁾
კურად⁴⁾ ჩაუხუტი⁵⁾ ორგულთ მიწდომით.

11. დავით¹⁾ მეფესა მტერთ სისხლმჩქეფესა ²⁾
უკვდავთ წყაროსა ცის სამყაროსა,
სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა,
კისკასად მქცევსა, ტანად საროსა,
მზედ სახოვანსა, თვით ახოვანსა, —
მხნედ მისთვის ვიყო, სული განვიყო,
უფალსა ჩემსა რამც გამყაროსა?!

12. აქვს მას დაბეკდვით, სმენით და ხედვით
სიბრძნის დასაბამ:—შიში უფლისა,
ნათელი, წრფელი, უხრწნელ-მყოფელი,
შემწყნარებელი დავრდომილისა.
კუდ ჰყვის მან მტერნი:—ორგულთა ერნი:
სახილმან ვით ქმნის ძალი ცვილისა¹⁾
მოსე და არონ თხემსა დაარონ²⁾
მას ალაბასტრი³⁾ ნელსაცხებლისა!

13. უსწრო ხარანით, გაიხარანით¹⁾
მით მწიკვლის მკლებ არს, არ დამმატ.²⁾ ისა
მსგავს ამანტისა³⁾, არა მანტისა⁴⁾,
უფროს მტკიცეობს ანდამანტისა⁵⁾.
უფალთ მთავარი, მკერ სამთავარი,

სამსაჯულოსა სრულად მათისა,
სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა⁶),
მთა ვერად სწორავს არარატისა!

14. მადლისა პირი, სიბრძნის სადგური,
მხედარი ღვთისა სამხატოვნისა,—
უზვერლებითა¹), სუნნელებითა
მსგავსი არს იგი სამირონისა²).
ყნოსა შროშანთა³), მღერა შროშანთა⁴),
კმანი ცუდ იქმნეს საფირონისა⁵)
ქვეყნისა ზღვარი, ჩრდილო და ბღვარი⁶)
დავლონ, ვის ძალუც⁷) მისებრ პოვნისა!?

14/2 ¹) სამოთხის სახე სამოთხისა ხე
მასზედ იხილნეს, მე ვით ვთქვამ რათ სა²)
სპარსთა, მიდელთა, თეზიდელთა
მზედ ექმნა დამწველ სულ არაბეთსა.
წყალობის წყარო დამომდინარო
საშეგებლით უსწრო მან ალიღათსა.
თუ ვინ თქვას ძვირი, შეიქმნას გირი,³)
ეექვას ენა სასასა მათსა⁴)

15 ზირაქს¹) კრონოსით²), ზინონს³) ენოსით
სწაველადა ებმის, ბრგენილ ჰყოფს ენითა.
ამათ ძალითა რომ ათძალითა⁴)
ორღანო უძნონ ებან ებნითა⁵).
უთრუთსა ამით ზაალ საამით
განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა.
სალიმ და თური, ძალთ⁶) უკეთური,
როსტომ⁷) ვერა ვცან, სწორავს თუ რითა!

16. ძირით მისისა იესესისა
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად¹)

ქალწულ წმიდისა წილხდომილისა^ა);
საქართველოსა მეფედ წოდებად,
სვეტად შჯულისად, ზღუდელ სულისად,^ბ)
აგარის ერთა^გ) ცეცხლთა მომდებად:
ა ხალიფასი ახალი ფასი
მრავლად მოერთმის თავთა მონებად^დ);

17. იკითხვენ, სწერენ, თაყუმა¹) სჩხრეკენ,
რამღს ჰკვრენ²), არჩევენ ბედთა მართაგან.³)
ჩვენ რომ გვესმისა, წყაროდ გვესმისა
სამოთხით წყლისა ცხოველისაგან.

ვთქვა მე აწ ვითა რომ იქმნეს წვითა
მნათობნი მძაფრად⁴) სხივთა მისთაგან⁵):
ხედვენ: „მზერითა სწორავს მზე რითა?“
ფიცვენ: „მირიდა თვისთა სხივთაგან⁶)!“

18. დოვლათ¹) სვიანად, სუფევს მზიანად
შვიდთა მნათობთა გარმოზღუდვითა²).
განათლდა არე მისთვის, ვით მთვარე,
როს განხმულ იყოს ცანი ხომითა³)
ხილვა მეფისა მკვრეტელთ ეფასა
თვალნი მალნიტზედ ფოლადობითა.⁴)
ლხინად გვეყოფის, არ გაგვეყოფის,
არს მიწყვი შებით და განცხრომითა⁵)

19. მხედრად ქველობით, უძღველობით,
სახედ უსწორო ანაგებითა,
უფლად სპასპეტთა¹), თვით ქალაქპეტთა²),
აქეს-ლა გოდოლნი³) ანაგებითა⁴).
მშვილდთა მახრაკა⁵) უქმნა მტერთ რაკა⁶)
გულსა უწყალოდ ანაგებითა⁷)!

ცულ ჰყოფს მისანსა, ტაღისმიანსა³)
ხრიზმოსთ კითხვითა ანა გებითა⁴).

20. აღვსძრა ბაგენი, ბრგვნილათ მაგენი,¹)
გულისკმის ყოფით შესხმად ქებისა
მალლისა მხნისა, ბრძენთა სეხნისა²),
აღმოთქვად ვიწყო ნეტარებისა:
გოღებრ მწთოლვარე³), არად მკნოლვარე⁴),
სამართლად ღირსი ნეტარებისა;
არა სთანვს⁵) რისხვა, გესმის? არის სხვა,
ნამდვილ ჩვეული მოწყალებისა⁶).

21. ესა მართალი: ე სამართალი
ხეს შეიქმს ხმელსა წყალმომდინარედ¹)
აქვს მას ტრიონი²) სანატრიონი³)
საწმისისაგან⁴) სამოსად გარედ.
აწ ესე ჯფმი, თვით ესე⁵) ლომი⁶)
მისთვის აღეგო კეთილ საკვარედ:
წყლად არს გეონი, ვინ⁷, ლეგეონი
პირდაყოფილჰყო უქმად მდგარედ.

22. აქვს სასოება, მას სათნოება,
სარწმუნოება სიყვარულითა.
მადლთა ტალანტი¹), სავსედ ბალანტი²),
შეუკრებიეს თვით სურვილითა.
ქველის საქმითა, ვკვირობ აქ მითა,
რაც ოდენ მესმის იღუმალითა:
უსხეულონი ზეცისა ძალნი
მისთვის იშვებენ სიხარულითა.

23. აფთონს¹) ბრძავს²), ათენს, ესრეთ გაათენს
წყვდიადსა ნათლად სხივნი მზისანი³)

კაცმან, სულელმან და უსულელმან,
ვერ გულისკმაყოს მისნი მისანი⁴⁾
ფშვის და სუნნელობს, თვით მომცემელობს
ჩვენდა სიბრძნესა, მადლნი ღვთისანი.
კაცსა⁵⁾ შერასხდა, ნამდვილგე მისგდა
მათ საღმობანი სიკვდილისანი.

24. ბრძანონ სა მალად¹⁾, ართუ სამალად²⁾,
ელია მოსით, ესრომ არაჰით³⁾:
მასთანა⁴⁾ შორად, ართუა შორად
ელი ამ ოსით⁵⁾ ესრომ არამით?
ქველად ქეჰითა(რს), რისხვით ქერიითა(რს)
ელი ამ ოსით. ეს რომა რა მით,
მას არა რითა, მას არა რითა
ელია⁶⁾ მოჰით⁷⁾ ესრომ არამით.

25. ვით ვუძლო¹⁾ ქებად, შესხმად დიდებად,
თქვენდა, მსაჯულო სიმართლისაო!
ჰმთავრობ და უფლებ, ათავისუფლებ
პყრობილთა ბრძმედო სიწმიდისაო!
მენანდარ გიცნობს, ოქროდ კმად გიძნობს,
სამუსიკოო ზირაქისაო²⁾!
არსება გმზეობს: მის მიერ გმზეობს
წიალი გულის აბრამისაო.

26. ხარ უკვდაება¹⁾ ვით²⁾ უკვდაება³⁾,
რაც ძალმიძს⁴⁾ ქებად, ვიწყო მწადენი:
ტურფა⁴⁾ სახითა, ცხოვლადსა ხითა⁵⁾
მოყმე, მხნე, უხვი დანიბადენი.
სიბრძნისა სირად⁶⁾, სწავლისა სირად⁷⁾
გარეთ მოგეთხზნეს⁸⁾ რიტორთ ბადენი.

აწამე თავსა⁹)—აწა მეთავსა¹⁰)
ღვაწლი, ვინ უწყის, თუ რაოდენი¹¹)

27. ზეცით ხარ ნათლად, ბრწყინვალედ სანთლად.
ჩვენ თქვენდა ქებად სიტყვა რათ ვურთოთ¹)?—
მსვრელ ბარბაროზთა, მძლედ სარკინოზთა
ჩაფხუტ-ჯაქვჭურით ოროლითურთით²)
ისაკებრ პირშობ კურთხევით³), ნიშობ
მელქისედეკის ლოცვით ზედა-მითთ⁴).
ესა ვისითა, ესავისითა,
მაუწყონ მთქმელთა, თუცა რათ ვურთოთ⁵)?

28. ვისცა უგმირეს¹), მისთვის უგმირეს²)
არს ეს ყოველთა თვითმპყრობელთასა
ღეთისა სამზისა³), ვინ ზესთ სამ⁴) ზისა
ეთერთ სამყაროთ და ღრუბელთასა,
ზღუდეთა კარი, მადლთა ფრუტკარი,
უტკბესად სძისა⁵), გოლგულოთასა.
შემუსრავს ბაალს⁶), მოლოქს⁷) და ქამალს⁸)
ასტარტის⁹) კერპსა საქაგელთასა.

28. მხედრობს უნესა¹), გულად უნესა
სათნოებისა კური²) რჩეული:
ე³) საც ერია⁴), მეხებრ ერია⁵),
რაზმნი შეიქმნეს სულ დაღეული.
ქნის-რა ნავარდი, მყის განავარდი,—
ფერობს ვით ვარდი თვით დაცვარული,—
იხმარნის მკლავნის, კაფად მამკლავნი,
აღმტაცებელნი, გრიგალ-ქარული⁶)

30. მტერთა მახვილნი იქმნეს ვით ცვილნი
მახითა მითვე, რომელ დაარწყვეს¹),

ექმნა წარმართსა²) და ერსა მათსა
განსახრწნელ, რომელ სრულ პერობილ იყვნეს.
რა მარზაპანთა³) და სპათა მისთა⁴)
შერისხდა ლომი, თვით ნანვად⁵) იწყეს;
მაშინ დავით მათ, მაშინ დავით⁶) მათ
მრჩობლად⁷) სხეულთა სული განიყვეს.

31. იყვის რა ზმითა¹), ურიცხვ რაზმითა
გულისმდებელად თვისთა სპათათვის:
გორგასლანი — დაფითიანი
ღროშა იახლის მსვრელად მტერთათვის²).
არ ვექვ, ეგზომი³) ბრძოლა და ომი
სხვასმცა ძალედვის მისგან მიმართ⁴) ვის!
მებრძოლთა გუნდნი ყოვლად ჰყენის ცუდნი
ხმანი როსტომის⁵) უმხნე ძალთათვის

32. ვხმობ¹) ვამეყ—ვისსა,²) ართუ შეყვისსა³),
როს იავარ ჰყო ამან ქვეყანით,
აღმოფხვრა სული, ძე და ასული;
რაც უყო, თქმევად ვის ძალუძს ენით!?
ვნახეთ,—ასერა⁴), მასსზე დასერა⁵)
მხეცნი, მფრინველნი უწყულად მისეენით⁶).
ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ
მეფე გლახაკებრ ძობთა მოფენით.

33. თვით სულ იმონა კიდე ლიმონა¹),
მით გამოსცდიდა ლომისა მკლავთა
ალაგ ამითა, ალაგა მითა
ცქაფად²) იხმარნეს ეტლთა მბრუნავთა³).
ვის რისხვით უკმო, უტყვ იქმნეს, უკმო,
შიშით და ძრწოლით მომრთმევთა თავთა.
ბნელ ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა,
ვით მზე, დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა⁴)

34. აბჯარ¹⁾ ხრმალითა, ვეფხეებრ მკრჩხალითა²⁾
მებ-ექმნა მტერთა, ცით მოსა³⁾ ლოდნი.
მიხედეს სიბრმესა, დახდეს სიღრმესა
ორგულთა ერნი, ვითარცა ლოდნი
აქარავანი ა ქარავანი
შეგობართაგან მათთვის საწოდნი⁴⁾.
ვადიდებ კელსა, ბრძენსა, არ ხელსა⁵⁾
რომ სცა მათ ნიშნად ბოლოდ საცოდნი.

35. ხარ კეისარი, ხარკე, ის არი
სიმდიდრით ლალი ჯიმშედს¹⁾ მფლობელი.
მოსიმ²⁾ ახოსა³⁾ მოსიმახოსა⁴⁾
მახვილი თქვენი მტერთა მწყობელი.
ჯალაცა⁵⁾ სეფქვევ⁶⁾ მოსვრით ასე ფქვევ,
ბრქალი ჰქმენ მათზედ მეოტ მპყრობელი.
ვპირ-მამენდმ ეხი, ავად რა ჰქეხი,
ორგულთა ექმენ დასამხობელი.

36. კვერთხი მეფეთა, დიდ კელმწიფეთა,
თვით გაქვს გებალით, სხვამც რად ეკვეთოს¹⁾?
ჯაქვ-საქურველნი, ძნელ სასურველნი,—
მით სარკინოზნი მყის დაეკვეთოს!
ხრმალი ლესული, მასზედ მხნე სული
ბარბაროზთ მსვრელად მყის წარგემართოს,
მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლიერნი
რისხვით მათზედა რომ მოგემართოს²⁾.

37. შესამოსელნი, შესამკობელნი
გმოსიან ტანსა ოქრო-ნემსულნი,
გვირგვინ სკიპტრანი, ბისონ¹⁾—მიტრანი²⁾
ძოწეულით³⁾ თანაშექსულნი⁴⁾
გაქვს-ლა პორფირთა, შთაცმა პოდირთა⁵⁾,

სამარაგლონი⁶) ერთგან ექსულნი⁷),
ღიადიმიტა ღიადი მითა
ზეგერლამო ვაქვს წმიდალ ექ⁸) სულნი.

38. ვიტყვი ხვასროსა, იმა ხვასროსა
ერეკლესაგან ტყვედ შეპყრობილსა,
პირველ მყოფისა მის მეუფისა
სპარსეთად ძელის წარმყვანებელსა¹)
სთქუთ-ლა ესეცა: მსგავსად ესეცა
ულმართოთა შეიქვს თვით-ოტებულსა.
ამა თხემისთვის ამა თხემისთვის²)
ნათანით ვძღნობდეთ ნელსაცხებელსა³)

39. თუ ვუქო¹) სრანი²), მე ამას რანი³),
გალავანისა შემკულობანი,
მტილ-სამოთხენი⁴) თვალთ სამოთხენი⁵),
ზედ ავაზანთა⁶) შექმნულობანი,
კართა სტოვანი⁷), ერთა სტოლანი⁸),
იპპოდრომისა⁹) განხმულობანი¹⁰)
საკმრად ლანკანთა¹¹), თანად პინაკთა¹²)
ბალახშნით კელჰყვეს შექმნულობანი¹³)

40. ტახტ-საჯლომელნი, მკამკამებელნი,
სარდიონითა¹) ხურუზმს²) შემკულნი,
მისაყრდნობელნი³), ძნელსაცნობელნი,
სამოთხით ნაძენი, თვით უდნობელნი.
ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყინავს ცეცხლებრივ;
კედელ-ყურენი, ფიქლით ძერწილნი⁴),
ბივრიოლიონი⁵), ლიგერილიონი⁶,
ურთიერთობით შორის შთათხილნი⁷).

41. გვირგვინოსანსა, პორფიროსანსა¹)
უხდების²) პურობა სკიპტრისა კელსა.
უამი დილისა განასდილისა³)
გაბრწყინვებულ ჰყოფს წყვილიადასა ბნელსა:
მიხედეს⁴) მისრულნი, მისთვის მისრულნი,
თვისთვის მისრულნი, საქმესა ძნელსა.
მე თუ კვლავ გაქო, ვიცი, კვლად⁵) გაქო
სხივთა ნათელი გვამსა უხრწნელსა.

42. წყლად გთქვა ნილოსად, უსასყიდლოსად¹)...
სამოთხით ჩვენდა ქანდაკებულად²)
ოქროდ ოფასად³) ძნიად⁴) საფასად,
ყოვლად ყოვლითურთ ბიწ-შეუხებლად;
სიწმიდის ბრძმედსა⁵) თვით განსაწმედსა
გამოდნობილ ხარ, ბიწშეუხებლად,
თვალად აღმასად—გავენოს აღმა სად! —
საფუძველ ზღუდედ წახნაგებულად⁶)

43. ვინცა იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი
გოარი¹) მათგან დანათვალითა,
რიყე²) თვალისა წინ ნათალისა
წყალნი მგზებარობს შიგან ალითა³)
შინან მარგალიტი,—ართუ ალიტი⁴)—
ოდენ ბურთისა საბურთალითა⁵),
აქვს ზარდახჩანი⁶), მას-ყე ბოღჩანი⁷)
ლუსკუმებრ⁸) მათთვის დასაკრძალითა.

44. იგუნდისა სხვა რად უნდისა!?
ჯამები იყვის ლალ ფირუზისა;
იყვის ქურქერთა, სხვათ უცხოფერთა
სიმრავლით დება თვით ურიცხვისა

ბევრად ძეს¹) გორი, ერთა საგორი,
ზოდი ოქროსა, მისგან თლილისა.
ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა,
კმანი ებნისა და წინწილისა²).

45. ეგრეთ ინახის¹) შორის ინახის²)
ვით მზე სამყაროს მენათობელი.³)
თფარის მშვენიებით, ცისკრის მთენებით
სხივ-მკრთოლფარებით მკამკამებელი,
ედემს დარგული სამოთხის ვარდი,
ციერთ უმაღლე ქვეყნის მპყრობელი
გვამცნებს სრულებათ ღვაისა სრულეპით⁴)
ჩვენთვის მარტავად სჯულისმღებელი.

46. გუნდ-მწყობრა დისი¹) მას ბევრ ათისი
ჰყავს დიდებულთა დიდგვარ თავადთა;
იოსებს თვალად, დიდ სამფსონს ძალიად,
სჯობს ნებროთს გულად ნაყოფი მსთვადთა²)
ცულ ჰყოფს, ვით ცვილთა, ლიქნა, სიციბილთა
მზირთ სიბორგილით სიფრხით ძმა(ცვადთა³)
მისთვის მოვწყდები, შევირაცხები,
მსხვერპლად ვემსგავსო ცხოვართა კლვადთა.

47. მზე მთოვარითა, ცა ვარსკვლავითა
შუქნი მიუხვამ მის ელვისათა¹)
მამის ძედ²) ორი სამგზის ნეტარი,
მეტრფე საქმეთა სახელისათა:
თვით ბქეთა ბქელი, მტკიცე ბქელი,
მეწლე სიტყვათა სიმართლისათა.
ერთა შემცველი, მტერთა შემწველი,
თანად შიშითა სასჯელისათა³)

48. სახედველისა¹⁾ სახედველისა²⁾
შქვრეტა³⁾ ვერ უძლეს განცდად⁴⁾ სხივისა;
მოე⁵⁾ კალმითა; მოეკალ მითა,
რომ უქმად სდევით ხატვად სახისა:
მისთვის წამალნი, სჯობს, რომ წამ—ალნი⁶⁾,
თვარ⁷⁾ იქნნეთ თვისად მძახნი ახისა!
მან იოსებსა, არ იოსებსა
სიტურფე ართო⁸⁾ თვით მსკავსი მისა?

49. ალვისხე ტანი¹⁾, მსგავსად შემტანი²⁾,
აქვს კოწოლ დაყრით კვიპაროზისა³⁾,
დასწვავს სრულობით ჯავარ სრულობით,
მზეთა საკმილად ეშყი ეგზისა⁴⁾
სტავრა⁵⁾ და ნახლი⁶⁾, არ ბიწ-კელ ნახლი,
ჰმოსიეს ტანსა მქვევრსა⁷⁾ ზეზისა⁸⁾
ვით მზე ლალიად⁹⁾, ეგრეთ მალიად
მორბედად შავსა ტაიქს ზე ზისა.¹⁰⁾

50. არ გასტეხს ფიცსა, თვით დანაპტიცისა:
ჰე ჰედ იყოსა ანუ თუ არად.
ძღვევა მარჯვენით მოიპარჯვენით
უფლისა მიერ ქურად და ფარად:
ექმნა ქუხილიდ, თვალთა წუხილიდ
რაზმთა ურიცხვთა¹⁾ მებ-გრიგალქარად,
ერი რჩეული²⁾, ნიქთა³⁾ ჩვეული,
მისგანვე იქმნეს კეთილ საკუარად.

51. ვარდო ფურჩენილო, ცვრით განბანილო,
ნერგო სვიანო დავითიანო!
ვინ კისკასია, სუნნელ კასია?
ბაღისნად კმოლოჲ და ვით იანო!
ვინ ქარანთ რაკი¹⁾ ქვეყნად ანთრაკი?

უცხოლ აგებულ ანაქესიანო²),
გონება ვრცელო, კვლავ ცნობა გრძელო,
მოთმინებაო იობიანო!

ნ2. ბანაკად საღმრთოდ¹), ერ საზეპუროდ²),
ხარ ღვთისმეტყველთა მათ ქურვილთაგან³).
ექმენ საკმლად⁴), იყვენს სახნილად⁵)
შინინი ფარულად შორ ქალაქთაგან;
მწარედ ღმობილნი⁶), ფრეთ ცნობილნი,
ულონო იქნეს თვისთა სულთაგან, :
გულდრკუ⁷), ხენეშნი⁸), განმრყენელნი ეშენი⁹),
აქიტოფელ ჰყენეს განზრახვათაგან¹⁰)

ნ3. ატტიკულისა¹), პატრიკულისა²)
ხედვის უფალ ხარ სიწლოთ სიზნოსა³
უთქვამს ებელთა მეძიებელთა⁴),
შენთვის პროკლეს და დიადოხოსა
არვე თავსდებით⁵): „არ ვეთავსდებით.“
სიბრძნისა ზღვასა თამარ პირშმოსა⁶.
ზინონ⁷) ზენანი, მოგვთა ზენანი
მეუფედ გზმობენ პერიპატოსა⁸).

ნ4. იმალვი¹] სახედ²) იმ აღვისა-ხედ³),
მკვრეტთა შემწველ ჰყოფ მით მოტყინარედ⁴)-
კვლა ვესხეული⁵), არეს ხეული⁶),
ღმობით პატიყად⁷) ექმნების მწარედ.
ფაე ნიად⁸): ე გენიად⁹)
ექმნა და მათ იქმს სულ ქვემდებარედ.
მწირი და მსხემი¹⁰), ფრეთ დამსხემი,¹)
ქებისა ვიქმენ თქვენთვის შემკადრედ.

ნ5. მოხველ განრომით¹) მტერთა განრომით
სიზნითა აზნობ ჰძლედ მორკინალი²),

სწავლის მოძღვარი, საშეგბლის დვარი
სიწმიდანაა ცხოვრების თვალი:
ჰყოფს ანეულსა, მყოფს ანეულსა³),
არ-ოდეს ბიცად⁴) ერქენისა⁵) ძალი:
ჰხედავ, გაქვს მოხშო⁶), ვაი თუ მოხშო⁷)
წყალობის კარი, ტკბილად მზრახვალი!

56. რა მოიზარდე, თვით მოიბლარდე¹)
ნათლითა ყოვლის მპყრობელისათა.
იროიკ²) ბოღრატ, პარმენიდ³), სოღრატ⁴)
უფლად გთქვეს ზღვისა და კველისათა⁵).
ფილოსოფოსთ რვისა გარდატვირთისა
მხედველ ხარ მსგავსად ებელისათა⁶)
ექმენ ედილად⁷) ყრპათა, ედილად⁸)
განმზანელ შვილთა ემბაზისათა⁹).

57. გიკვობ მანასებრ, გიწოდ მეუფებრ,
სიტყვით შეგითხზავ ქებას ჯეროვნად.
ნათლად მნთებარე, წინამდებარე
სხივ-მომცემლობ ელვა-ცისკროვნად.
ძალ-გულად მხნეო, სვე-ბედად ქველო,
ასპიტ¹) ცემულჰყოფ, მჭერთა ახოვნად²).
მყის მოამდოვრებ³), მყის შეიქ ცხოვრებ⁴)
—უჯეროთ მძახთა—მდგლოთა⁵) ძოვნად.

58. ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეობა,
მუშეს¹) სუნნელეობა შენგან მიეცა.
ყანდაარს²) შაქარს, მალრიბს ოქროს ქანს,³)
ბარანს მარგალიტს ეს დაფი⁴) ეცა:
ეჭვეყნის მნათენი, მოკაპათენი,
ბაზიყად⁵) გექმენეს სურვილითრე-ცა⁶)

წმიდათ მემწყობრე, მათთან მოსაგრე⁷⁾),
ზეცისა ძალთა ხარ მოდასეცა.“

59. ვხედავ მარტოსა გაშლით მა რტოსა
გვართა მთავრობით ზესთ საჩინოსა:
კაცთა მკოდვისა¹⁾ და მამკოდვისა²⁾
შეიწრებისა არ მომთმინოსა.
სწავლის ებგური³⁾, უცხოთ სადგური
ნავთსაყუდელთა,—სწორავ ნილოსა⁵⁾.
სიბრძნის უფსკრული, ენა-რიტორი,
მსგავს ხარ მთისა მის ეტეონისა⁶⁾

60. თქვენ ინდოეთი, კვირინ¹⁾, გუთეთი²⁾,
არიელ³⁾, ფოტელ⁴⁾, გერგესეველნი⁵⁾,
შიშველ-მართალნი⁶⁾, ციღამტკაველნი⁷⁾
აბაშ⁸⁾ შაბაშნი⁹⁾ ღვედკეცნეველნი.¹⁰⁾
ბასრი¹²⁾ ბარანი, ვრახმანი¹³⁾ ერანი—
გაქებს, გადიდებს ძნობით ყოველნი.
არ დამივარდა?!¹⁴⁾ გლახ, დამივარდა
ენა ზართლის თქმად ვცლარ მგებელნი¹⁵⁾

61. ძირ მტკიცედ გოდლად, ზედკართა ზღრუბლად¹⁾
ცის კამართა სჩან²⁾ ხარ ზესთმდეგად.
ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოსხლავ,
ერთგულთ ექნები ფარად და ზურგად³⁾
ურჩთა ელომით⁴⁾ ცეცხლად ელო⁵⁾ მით:
შერისხვა თქვენი სულ დასადაგად
საკმილთ არმური⁷⁾ სწვავს მათ, არმური
გუნდრუკად⁷⁾ ერთმის ოქროსა რიგად.

62. გვრიტთა მართვისა¹⁾ თვარ აქვთ მართ ვისა
თქვენებრ სურვილი შეუღლობისა²⁾!/?
წართუწირულ ვართ, არ განწირულ ვართ,³⁾

რადგან თქვენ გპოვეთ მზედ უფლობისა.
მადლის მუშაკთა ექმენ ხორშაკთა⁴)
მაგრილობელად სხეულებისა:
მათ შეუძვრელი კლდე, შემმუსრველი
ლოდი⁵) ხარ მტერთა დაბრკოლებისა.

63. თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლთ სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქერივთა¹).
შიშველთ სამოსლად მონიჭებული
მოხუცებულთა, შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი.
მოგფვენ სიბრძნისა, წერილთ სიღრმისა
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.

64. მან უცოდველმან, ყოველთმხედველმან
ზესთამან არსმან თვითებისამან,
მიუწდომელმან, დაუწყებელმან,
ნათელმან ერთმან სამებისამან,
მამისა ნიქმან, სულისა ნიშმან,
მის თანასწორად განსაზღვრებულმან —
გქმნა ცისკარ დლისა, მთიებად მზისა¹)
ვარსკვლავად ცისა,—თვით უბინდომან.

65.. ჰფუცა¹) მონამა: „ზეცით მონამა
მანანად ჩვენთვის მწყერ-მარხილებით²)
გვცა⁴) სრა⁴) სრულებით⁵), სავსედ სრულებით⁶)
თვალ გოვარებით, ოქროს მიღებით.
მისგან ბოძება,—არაუ მოძება—
მრავლად ვიხილეთ ტკბილის გულებით:
ჩვენთვის მთმობელად, დასათმობელად,
სანუკვრად ვპოვეთ ეს მარ-ხილებით⁷)

66. აწლ არ ომითა, აწლა რომითა¹⁾
ეს მოგვანიჭა ქრისტეს მიერად:
იტყვის იგავსა, — ართუ იგ ავსა, —
ზირაქის მსგავსსა გულის კმიერად:
მტკიცედ და მკვეთრად მისგან უკეთრად,
ნეტარ ვინმც იქმნეს ანუ თუ დარად?
მისრულ²⁾ მისრულა³⁾: მისრულ მისრულა⁵⁾
გული, რას მქონდა სალმოზიერად.

67. შქერეტენ შეფრფინვით¹⁾ მნათობნი ვინ ვით,
ხეკით და ნდომით, სულწასულობით
ეტყოდეს გულსა, მისთვის დაგულსა:
„რადგან დაგებით, ბარემ სულ ებით“²⁾:
თავს აბრალებენ, არ აბრალებენ...
მყის გლოვად იწყეს აღვა-რგულობით:
წამწამ ისროდის, ვერ განქაროდის
მზენი ლახვართა მისთა სროლობით³⁾

68. არს შეენიერად, არ ქვეყნიერად.
ანგელოზთ სახედ დასახებული,
მეფედ გებული, ლაღი, შეგებული,
თვით მხიარული, სამ-დიდებული¹⁾,
ნორჩი²⁾ აღვათა³⁾, აკრთობს აღვათა
არეთა მათენი, ცისკრის ქებული.
მართებს, რომ ცამცა ჰქონდეს მასცამცა
სახლად სამყოფად განჩინებული⁴⁾

69. შჯულისა ლარი¹⁾, ქვეყნისა ლარი²⁾
გამდიდრებული ფრიად ყოვლითა.
უწყის ყოველნი ჟამნი და წელნი,
შეყინვა ნივთთა, ცით მომრგვლებულთა.

ქვეყნის უფალი, მკვრეტთ სატურფალი
საუნოსლად მათთვის სუნნელებითა.
თვით ლომი გმირი: ნუ თუ ეგ მირი¹).
თქვენ ჰგონოთ მისებრ ძლიერებითა?!

70. მტერთ არე¹) წყალი და ნაბერწყალა²)
მიძფინის კმათა მისთა აღმურმან,
განძვინებული, ცნობა-ვნებული
მეხ-დატეხილ ჰყვის მკლავმან ძლიერმან,
სრბით სლვა უჯეროდ, ძნელ გასამრჯელოდ
უქმნის რისხვამან კვლავ მის მიერმან:
ეცის ვის ის-რა, გულსა თვით სისრა³)
მყის განაწონის მან სახიერმან.

71. საფარველ ერთა, საძღვეველ მტერთა,
მარტივად ბრწყინავს თვალი სოფლისა¹):
გონება ვრცელი, ყოვლგამხედველი,
ქრისტესთვის მთხევი თვისთა ოფლისა,
ნიკთა მთხრობელი, წინამსწრობელი,
მადლით სპეტაკი უფროს ნათლისა,
მისთვისვე ქმნილი, თვით განკუთვნილი,
უფლადცა მხედი ნივთთა ყოვლისა.

72. ცნობისა ნესტვი, ხვეჭით¹) საკვრეტი
სიმაღლედ, სივრცედ, სიგრძედ და სიღრმედ,
შჯულის ფიცარი—ძნელ საფიცარი,
მადლთა ბარძიმი—ერთა განსაწქედ;
მზე დაუვალი²) მყის დაუვალი³).
არს შვიდნი მნათნი⁴) მასზედ მოწამედ:
„წმიდად აქვს სული, დასთა დასული,
სამყაროს ნათლად, არათუ ღამედ“. ⁵)

73. მისგან ვითხოვო¹⁾), ართუ ვითხოვო²⁾) —
რათა სცეს სწავლა თბესა³⁾ მცონარსა,
თვით აუარო⁴⁾), არა უვარო⁵⁾).

ქვეყნად ყოვლისა უფალ მთავარსა
სამსახეობით სამსახეობით⁶⁾)

ჰხადის უფალსა და მაცხოვარსა.

დაბანაკებით⁷⁾ აბანაკებით⁸⁾)

მკვირცხლად⁹⁾ გვახილვებს მებრძოლთა ერსა:¹⁰⁾)

74. ვხედავთ: სფეროთა¹⁾ სამას ფეროთა:²⁾)

საქმეთა მქნელად ვალს სიფიცხენით³⁾)

ცის საქანელნი, გარდმომდენელნი

მადლისა ცვართა, ექმნეს მას ზენით!

თვით მის აქაზის⁴⁾ ნაცვლად აქა ზის:

ახოვნებისა სვეტნი მტკაცენით.

ონორის დუქს.⁵⁾ პირს ავათ უქსა

მყის შერისხვითა მსწრაფლ სიმკვირცხენით.

75. დრო შამოიგდო¹⁾), დროშა მოიგდო,

მტერნი დახოცნის აოკრებითა,

ბუკ-ტაბლაკობით, საარაკობით,

მედგრად იბრძოდის გამწყავ-ზრებითა²⁾);

გაცხუნვებულნი³⁾), გაწბილვებულნი⁴⁾)

ულონოდ შექმნის აბჯართ აკლითა⁵⁾)

გამეხებული, გამარჯვებული

იყო, იშვებდა ფუფუნებითა.

76. ვაქებდეთ ერნო, ყრმანო და ბერნო,

საუნჯედ ჩვენთვის მონიჭებულსა

ქრისტეს მხედარსა, მხნე ახოვანსა,

პირად-პირადად განშვენებულსა,

ნათლად ბნელისა გადმოფენილსა.

ეთერთა ელვად დასახებულსა,
სიწმიდის კაზმად, არ ბილწად, კა ზმად,
ნათლის ემბაზად დაარსებულსა!

77. ღმერთმან და ძემან, ღვთისა სიბრძნეჲმან
ჰყოს ეს უაღრეს სულთა ყოველთა:
ნათლად ცხოვრებად, არ განშორებად
ზეცისა ძალთა გუნდთა ცხოველთა,
მნელ¹⁾ ტარიგისად²⁾, ვითარ იგი სად
სცხოვრებდა ჩვენთვის ქვეყნად-ქვე, ველთა,
აღაგოს სახლად, სწავლის თან-სახლად³⁾
ასურვა ენა მისი მსმენელთა.

78. ვთქვა: ფინიკელი, არ აფრიკელი, —
მათ ჰქნეს წერილთა მოგონებანი¹⁾:
კა ტა მა ნე თო ია მა ნე თო²⁾.
მისდა მყის ცუდჰყვეს მოგონებანი.
გიკმობ რომელთა, გიცნობ რომელთა,
ყურნი მომიპყართ, მოგონებანი:
მისთვისდა ქებით ხარ, განქიქებით
ბიწი ვინ ჰპოონ მოგონებანი.

79. ანდიმან მოგვმან, გრძნებითა მბოგვმან,
მისნობით კელჰყო ზაკვით ზღაპრობა:
ეშმაკს ევედრა, სული შეჰვედრა,
მით ექმნა სრულად მათთან საგრობა¹⁾
თქვენგან ქურუმთა, მყის აქ ურუმთა:²⁾
მოლიდთა³⁾ ცუდჰყვეს ბომონთ მოთხრობა.
ძეგლად შჯულისად მართლ-მსაჯულისად
დავით გიწოდა თვისად მკვიდრობა⁴⁾.

80. დაწერა ქვითა და წერაქვითა
ანდამანტისა ცვილ-მყოფელითა,
მხნედ ჰასაკისა პავასაკისა¹⁾)
წმიდათა თანა მომწერელითა
ტყორცა ისრისა მიკვირს: ისრი სა (დ)
მერკვირისაებრ²⁾) უსრულთ³⁾) ჰკრენითა,
სარკინოზთ ერთა სხეულთა ერთა⁴⁾),
ოროლნი⁵⁾) მორფსა⁶⁾) შიგან წევნითა.

81. არ აბაშია¹⁾), არა ბაშია²⁾)
მეფე მორწმუნე, კველთა ნათელი,
გულთა და სულთა, თვით მათ დასულთა
ებრ³⁾), ბრწყინვალე ჰყოფს მადლთა სანთელი
ალფა მოზარდი⁴⁾) სოკრატ მოზარდი,
ქებისა პოვნად, ვითა სულელი⁵⁾),
საბასრო მისა: საბას რომისა⁶⁾)
მგმობარნი⁷⁾) თავთა ღრკუ გამსწავლელი.

82. მაჰმადის შჯულსა გარდალაჯულსა
ბილწად საქიქელ¹⁾)—საბასრობელსა,
სიძვა-მრუშებით, არა წმინდებით,
ჩუქნა²⁾)—ლირწებით შჯულთა მპყრობელსა,
თვით მეზღაპრესა, ცუდ ფელამბარსა³⁾),
ღვთისა არ მართლად მქადაგებელსა—
ეც⁴⁾) მოსეს ხითა⁵⁾), არ მოსესხითა⁶⁾),
მას ღვთისა მიერ მოძაგებულსა.

83. სთქვის სიტყვა მქეფრნი, ართუ ღუხქირნი,
მოსაქცეველ ჰყვის წარმართთა ერნი:
მათ სატუხელნი¹⁾), ძნელ საწუხელნი
შჯულნი შეუქმნი²⁾) თავისა მტერნი.

მისცის ყოველთა, ვინც იყო ველთა³⁾)-
ადიდებლიან ყრმანი და ბერნი.
მისთვის უგბილად⁴⁾ განსალიგებლად⁵⁾
შეიქმნეს მღელრად⁶⁾ სხივნი ძლიერნი.

84. შეიდ წვალეებითა შეცვალეებითა
იყვნეს ძველთაგან შობის-დღის მზმელნი¹⁾,
სადუკეველნი²⁾, ფარისეველნი³⁾
მცნებათა შჯულსა⁴⁾ არ კმა ყოველნი,
წერილთ მომპოვნნი, თვისით მომგონნი,
სხვანი დღითი-დღე ნათლისმღებელნი,
ნაზარეველნი⁵⁾ ხუთოსინელნი—
მისგან შეიქმნეს პირდაყოფილნი.

85. მაკედონიოს¹⁾, დრკუ საბელიოს²⁾
შეცდომით ჰკმობდეს სულსა წმიდასა,
მალნი ვინმე ცით იტყოდა რეციით
გარდმოტანასა კორცთა მისთასა,
სამუსატელსა³⁾ და რომესვეტელსა⁴⁾
პირს დაუყოფდა წვალეებათასა:
სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლთ მჩქეფენი,
ღმერთმან არ ღირს ჰყო უფლებათასა!⁵⁾

86. ვით ქვიშა ზღვისა, ცვარი წვიმისა
ვერვინ აღრიცხოს თვითოეულად,
ეგრეთვე ქება, მსგავსად ხსენება
მისი ვერ უძლონ თვითოეულად,
სიმხნითა ბრძნობა¹⁾ და გულოვნობა
მისი ვერ უძლონ თვითოეულად,
აღმოსავალი და დასავალი,
მთანი და ბორცენი ჰკმობს უფლებულად²⁾

87. მაშინვე ნახი თვით ეს ვენახი:
კეთილგანსხლული, სორექთ¹⁾ მომრთმელი,
ლეღვისა, ღვისა²⁾ კუროსთავისა³⁾
წილად მურტისა⁴⁾ გამომღებელი,
ნამისა ცვართა გამომზუტკვართა⁵⁾
ნორჩთ ქანდაკებით მსთვად სასთვლებელი,
კეთილ-ნუჯრობით, ცუდ რიჯრაჯობით
მქვრეტთ სატრფიალოდ დასალბობელი.

88. უცხოთ მოყვარე, გლახაკთ მოწყალე,
მშჯელი მშჯაკრისა და სამართლისა:
აღბორგებითა, აღშფოთებითა
ძმაცვათა შორად წარმდევნელისა
შვიდის კრებისა დამტკიცებისა¹⁾,
დამბეჭვდელ გვექმნა მათქან თქმულისა:
მან ჰყო არიოზ და ევნოპიოზ²⁾
საბელიოზით შორს ხვებულისა³⁾.

89. სთქვა შემოქმედმან, ყოველთ შემოქმედმან:
„ვექმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა¹⁾“!
ღმერთმან ღმერთთამან ძველმან დროთამან,
ვინ თანასწორად სულსა ავლენდა,
არვისგან არსმან, თვით დამაარსმან,
სამებით სრულმან თვით იმოქმედა
ნამდვილ ღვთაებით, საბაოთებით,
ნივთთ შექმნულობით წარმოადგენდა.

90. მისცა ყოველი, არც თუ ყოველი¹⁾:
თვით მის მიერვე დაემონოდეს,
უბრძანა ხისა კეთილსახისა
დაცვად ნაყოფი, ქამად აროდეს²⁾

უწყოდა ღმერთმან, მან სახიერმან:
თუ შუქედეს, თვალნი აეხილოდეს.
ურჩი ექმნეს³⁾ ღმერთსა, უსპინეს მტერსა⁴⁾:
მათ მზე წყვედიადად შეეცვალოდეს.

91. როს ენა შვიდი მათთვის დამშვიდა¹⁾
საზრახელ²⁾ იყო სულთა ყოველთა:—
ასურთა, ინდთა, რომთა და სინდთა,
ბერძენთა, სპარსთა, აგ-მაგუგელთა,—
მაშინდა ნებროთ, კკვით სამისებროთ,
გოდოლი კელჰყო შენებად ველთა³⁾,
თვით გარდმოიჭრა,, სული გაიჭრა,
სატანჯველთ მიხვდა სასტიკად ძნელთა.

92. მცხინვარებითა¹⁾ ღვთაებისათა
ფერი იცვალა თაბორს დიდებით
ელია მოსით ნათელ შემოსით¹⁾
იახლნეს სხვადა სიმტკიცის კლდებით
ძრწოლით ხედვიდეს, განიზრახვიდეს,
ვითარცა შეჭგავს მონათ რიდებით²⁾
კმა ზეგარდამო, მყის ყოველად ამო,
ამის განესმათ ძელ საწოდებით⁴⁾

93. ერთ აღიფრტვინვეს¹⁾, თვით დაიდრტვინვეს²⁾,
უმადლოდ ექმნეს ქველისმოქმედსა:
აღბორგნეს ჯერკვლად³⁾, აღშფოთნეს ჯერ კვლად⁴⁾
კიცხვით ბასრობდეს მას შემოქმედს⁵⁾.
ვინ იბანს კელსა. მე ვგონებ ხელსა⁶⁾:
ღვთის სისხლსა წყლითა ვინ განიწმენდსა?
სულისა აღსრად დასული საღხსრად
ღვაწლს აღასრულებს წინასწარედსა⁷⁾

94. როს მესამესით¹⁾ თვით მესამესით²⁾

დაჯდეს³) განკითხვად სულთა ყოველთა,
ოხრიდენ ზღვანი, გრგვინვიდენ ცანი,
ზარი გამოჩნდეს ცეცხლთა შემწველთა,
მსწრაფლად-ლა⁴) სტვირი, ძნელ-დასაყვირი,
წარმოადგენდეს სულთან) ყოველთა,—
მაშინ გალხინოს, თვით მიგავლინოს
თქვენ უოხჰნოთა⁶) მათ საშეგებლთა!

95. ქრისტეს სასძლოსა¹) ვინმცაა სძლოსა,
განწჰედით ქმნილსა გაბრწყინებულსა;
თვით მას ედემსა ნათლად მიმდემსა,
პირველვე შენტვის სახლად გებულსა,
სასუფეველსა, ყოვლა დცხოველსა,
საფუფუნებლად შენტვის დასხმულსა—
ვხედავ ჯეროვნად მარად სამოენად
შენდა განკუთვნით გამზადებულსა²).

96. თუცა ვიტყოდი, ვუწყვი, ვიტყოდი,
ენამცა ბრგვნილად დამეყბედოსა:¹)
ვის ვუთხრნე ჰირნი, ძნელ და მაჰირნი,
ანუ სხვა ვინმცა მიემედოსა?!.

შეგეფეროდა, გმირო ქველოდა
სულ კმელთა ფლობა სამეუფოსა
მა ლეგეონსა²) მალე გეონსა³)
დაანთქმედ უყსა⁴) საუფსკრულოსა.

97. შენ, გონიერო, გულისკმიერო,
თვით მეცნიერო მეფევე ძლიერო,
მიუხდომელო, მიუწდომელო,
მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო,
განათლებულო, განახლებულო,

გაბრწყინებულო მზეო ციერო,
გალადებულო, გალომებულო,
კვლავ გოლიათო გულ-ლმობიერო.)

98. მე მონა შენი, მე მონა შენი¹⁾
—ვგონებ—ყოველნი თქვენთვის შექმნულად.
ნეტარ ხარ, ყოვლად წმიდად და ცხოვლად,
ძალად და გულად, თვით არ დაგულად²⁾
ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ³⁾,
დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდულად⁴⁾
აწე რისხვითა აწერი სხვითა
გზით წარუვლინოს უკუნ-საქცევლად⁵⁾

99. მე გლახ¹⁾ არ გიძღენა!: თქვენგან წარიღენა
ყოველი ბიწთა მომახველობა²⁾.
ვინა იშვების, სად აღიზრდების,
რომ ჰქონდეს თქვენებრ ჰკვა, მხედველობა?!
მოიმუშავენ, ღვაწლით მოიმკენ
სათნოებათა მქელეულობა³⁾
ხარ სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი,⁴⁾
სულისა ქნარი,⁵⁾ ღვთისმხ ლველობა

100. მეფევე მაღალო, ჰცევა-მდაბალო,¹⁾
ლომისა მსგავსო ძალად და გულად,
აღვისა შტოო, ყოვლად მარტოო,
მქვრეტთ სასურველო მოსარხვევლად,
ვარდზედ გაშლილო ყორნის ბოლოო,
ქმნილო სუნნელთა მოსაფრქვეველად,
შუქთა მფენებო, თვით განმფენებო
ზედ სამყაროსა, მერმე ქვე, ველად!

101. თქვენთვის დიდებით ცუდ მიდ-მოდებით
სიტყვა შევკრიბნეთ უნდო რამ ენით;

ხამს შემეწია, თვით¹⁾ შემეწია
მუსიკ—მგოსანით—მესტროლაბ ენით,
არ მექნა გული ესრეთ დაგული
ცრემლთა ნაკადთა მიწყევ დადენით,
სიბრძნის არდაგი²⁾),—საკვილთ არ დაგი,
წელთა მომერტყა სწავლისმზად ენით³⁾:

102. პირველ წერანი და აწერანი
პალამიდისგან მოპოვნებულ არს;
სიტყვის მგებლობა, ძნელ-საგებლობა
ზინონისაგან შემოღებულ არს;
ტილისმ-მოგობა, არ ცუდ-მზორგობა
აპოლონისგან დამტკიცებულ არს²⁾);
მასთან ასკლიპოს³⁾ ველარ მუსიკობს:
თვით ქებად შენდა განლიგებულ⁴⁾ არს.

103. წიგნი მეფეთა¹⁾, ქება ქებათა²⁾,
ეკლეზიასტ³⁾, სარამ არ-გრძნისა⁴⁾
დაფით⁵⁾, იგაფნა⁶⁾ ვინ სთქვა იგაფნი⁷⁾,
სიბრძნე დიდისა სოლომონისა,
ღეგოტელთ, რიბხეთა, მსაჯულთა, ნეშტთა,
ებრას ეს დარსი⁸⁾ და ზირაქისა,⁹⁾
მათთან ვრაზმანი¹⁰⁾),— გძნობეს რვა ხმანი.¹¹⁾
ვერა დამატონ ქება ძალისა¹²⁾

104. ცეცლი ბნელისა გარესკნელისა,
მატლი ღრქენისა წამლიანისა,
მოსვრა ნეფხვისა ძნელთა¹⁾ სეტყვისა,
თოვლთა წვიმითა²⁾ ღვარ-ნაფშვენისა³⁾ —
ორგულთ ეწიოს, ვერ განეწიოს⁴⁾
ურჩი ვინ იყოს ტახტის თქვენისა,

ღელე გლოვისა^ა) ექმნას გლოვისა^ა),
ჟამნი მოუკდეს ცრემლთა დენისა!

105. ტურფად შევენება, გამოჩვენება
თქვენი დააქნობს ყოველთ ყვავილთა.
გიკმობს ენა მით: „სწავლის ე ნამით
წყლად წყაროდ, მრწყველად ბორცვთა და ველთა,
ახალო რომო, შენთვის¹) თქვეს, რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.
ენატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაჰკრძალვენ წმ-დათ სხეულთა“.²)

106. ვფიცავ მე მადლით, რომ თქვენის გაყრით
ჰკლებოდეს ჟამსა დღეთა ჩემთასა
სულნი და გვამნი და ჩემნი ძვალნი
ქარქვეტებრ ჰქმნოდეს ძალთა მისთასა:
მექნა გლახ გული, ყოფა და სული
მძაფრ მწყდრად მდებარე მორფ სხეულისა.
ვერ ვაგებ თქმითა, რომ ვარ სულთქმითა
უსიტყველითა უფროს სხეათასა.

107. კელვყავ საქმესა, ძნელსა რასმესა,
უგუნურებით, თვით სულელობით:
ქებასა გრძელსა, სათქმელად ძნელსა
ვერ ვუძლე, ვიქმენ ენა-ბრგენილობით.
შესხმა, მკობანი, მუსიკობანი,
ვუწყი, ვერ გიძლვენ თქვენ საფერობით,
შაგრა, ვით მწვლილნი, ქრისტეს მითვლილნი,
ჰექმენ მადლობის შემწირველობით.

108. თუცა თქვენ ბრგენილთა უნდო უკმართა
ენათა მიერ შესხმად ვერ ვუძლეთ,

თქვენ სცვალეთ ბნელი, წყვდიადი ბნელი
მზედ ნათლად ცხოვლოდ და განანათლეთ,
განმართეთ ცუდნი, სიტყვანი მრუდნი
კეთილად სცვალეთ და განამართლეთ¹).
გვედრებ თქვენ სულად: ქებისა წილად
ჩემგან დუმილი თვით მიითვალეთ.



გ ა ნ მ ა რ ტ ე მ ბ ა ნ ი .

1. ¹. ქნარზე დაკვრით დამღერა. ². როგორც წინასწარმეტყველი დავითი. მაგრამ, მაგიერ ფრაზისა „და, ვით ის დავით“, შეიძლება იყოს „დავითის დავით“, ე. ი. დავით სოსლანის ღირსების გამო გამოწვეულ დავა პაექრობით: ამ დავითის მეფედ და თამარის ქმრად მოწვევის მოწინააღმდეგენი მას უწუნებდნენ ჩამომავლობას და მკლავსაც. ჩვენ უკანასკნელ ნუსხას ვაძლევთ უპირატესობას. ³. მეფედ დასმა ზევისებრ, ზენაურად, განგებით

⁴. მსურს, მინდა. 5-№656-შია **მეფისა**, დაბეკდილში „მე ვისა“ (ჩუბ-გამოც. 1863 წლ.). 6. გალობით შემკობა. (მაგრამ 150 ფსალმუნში ნიშნავს სიმს: „აქებდით... ძნობითა და ორღანოთა“.—ბერძნ. ალექსანდრეულში: „ენ ხორდეს კე ორგანო“, სლავ. „ვო სტრუნახ ი ორგანი“. ამავე ფსალმუნში ქართული ებანი უდრის ბერძნულს „კითარა“, სლავიანურს „გუსლი“) ⁷. მიხვედრელობით გულისხმიერობით, გაგებულობით. ⁸. გაღებით. ⁹. დარგი სიმართლისა ¹⁰. ვინც დავით სოსლანს ეფრემიანად არ სთვლიდა და თამარის ღირსად არ სცნობდა.

2. ¹. ძველის ათინის (საბერძნეთის) მეცნიერებს იგულისხმებს. ². ხმელთაშუა ზღვაში კუნძული კრიტოსი ანუ კრეტოსი. ³. იგივე ალექსო, რომელშიაც 200000 მცხოვრები იყო. ⁴. მალრიბი იგივე მალრუბი—დასავლეთი. ⁵. მაშრიყი—აღმოსავლეთი. ⁶. ჩინეთ ჩინეთი —საჩინო ჩინეთი. ⁷. თარში (იულიოპოლი) მდინ. კიდნაზე, საცა სელევიკიდების ხანაში აყვავებული იყო ფილოსოფიისა და რიტორიკის სასწავლებელი. აქაურივე იყო მოციქ. პავლე. ⁸. ელნით—ელით, ელოდებით, ჰგონებთ, რომელთ თავი მოგაქეთ ⁹. რომაელნი. ¹⁰. ელიონნი, ბერძენნი. ¹¹. ბერძენთ გამოჩენილი ფილოსოფოსი. ¹². გება, ყოფნა. ¹³. № 656—მკიცხველნო. ¹⁴. შეადარე: „მო ფილოსოფონო,თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა!.. „სოკრატ სიბრძნითა, სარამა გრძნითა ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა, (ჩაბრ.)

3. ¹. შეადარე: „აწ ახლისა დავითისთვის და გიორგისა **ძისა** თამარისთვის“ (ქ. ცხ. 306); „სხვა **ძე** არ ესვა მეფესა მართ ოდენ მართო ასული“ (ვეფხ. ტყ. 33); ქვემოთ შესხმა... მამის **ძედ** არი სამგზის ნეტარი“ (შესხმა 47) ². № 656—ეხილოვს, მამცნოს. ³: საამო ხედ იგულისხმება თამარ მეფისა და ბაგრატიონების შთამომავლობა ღვთის მშობლისა და დავით წინასწარმეტყველის ტომისაგან. ⁴. გარესკნელი ანუ

ვარკერძო. მათე 22, 13: განავდეთ ეგ ბნელსა გარუსკენელსა ВО ТЬМУ
ВНѢШНЮЮ

4. 1. № 656—ძლივ. 2. მეფე გმირი, სხივოსანი გმირი 3. მეფედ
დასმული, მჯღომი. 4. მოასპარუზე. ქებაში იგულისხმება თამარის ქმა-
რი დაეითი, „მოცმე ნაკეთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურაჟა,
ზრდილობით კეთილად ზრდილი, მხნე და ძლიერი, რაინდობითა და
შვილდონობით უსწორო, შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოვლი-
თურთ სრული სიკეთითა“ (ქ. ცხ. 292).. შეადარე კიდევ: „ქება მიბ-
დომოდა დაეითის მოცმისა, პირველთა გოლიათთა მსგავსისა, ბალთა-
რისი და თარხანისი, მსგავსი ეფრემიანისი და დიდებულთა ბუმბერაზთა
მოცმეთა ამის სამეფოსათა“ (ქ. ცხ. 302).

5. 1. დაეითისთვის. 2. შეადარე: ა) „დაეითისთვის საყვარელისა
შენისა... ეფუსა უფალი დაეითს ქეშმარიტებითა, და არა შეურაცხელს
იგი: ნაყოფისაგან მუკლისა შენისა დაცვა საყდართა შენთა; და თუ
იმარხონ შვილთა შენთა შჯული ჩემი და წამებანი ჩემნი ესე, რომელნი
ვასწავლენ მათ, და ნაშობნი მათნი დასხდენ უკუნისაძღუ საყდართა შენ-
თა“ (ფს. 131, 11—12); ბ) ლეთისშობელო, „შენგან შობილმან ჩვენ
ღირს გვენა აღმოშობად... შე თამარ მიწა შენი და მიერევე ცხებულუ-
ბასა ღირსეყვ და თეიხობახსა“ (ქ. ცხ. 309—310), და მისივე ნათესავი
იყო თვით მეფე დაეით სოსლანის 3. ესეც (დაეითი მეფე)
4. იმ აღთქმის ძალით. 5. ასე. 6. ზენარ ძალთა—ანგელოზთა გუნდისა
7. თამარისა და დაეითის ფულს აწერია: „თამარ ასული გიორგისა. შემ-
წე მუსიისა“. 8. მორჩი—ნორჩი (отрачь). იმ დაეითის ჩამომავალი. 9)
გადარჩი. 10. სატუხელი — საწლებელი. 11. № 656-შია „არევედა.
თავდაპირველად. აღბად, იყო „არევედა“. დაეით მეფე საწუხელებს მორ-
ჩა არა მაშინ, როდესაც იყო მეარევედ (მეცხვარევედ), არამედ მაშინ როდესაც
გახულებიფიდა. ასე დაეძარტა დაეით სოსლანსაც: „არედ“ ყოფილს თა-
მარისთვის ვაჭროლს მისის შერთვით მეფობა ერგო. შეადარე ამასვე:
„იყო მას ლამესა ბრძანებდა უფლისა ნათან წინასწარმეტყველისა მიმართ..
აწ შენ ესრე ჰრქვა მონასა ჩემსა დაეითს: ესრე იტყვის უფალი ყოვლისა
მყრობელი: გამოგიყვანე შენ ფარებთაგანსაწყსოთასა და გყვა შენ წინა-
მძღვარ ერისა ჩემისა“ (2 მეფ. 7. 4—8).

6. 1. იონათანაკი არა, ნათან წინასწარმეტყველმა (არა იონათან) აკურთხო მე-
ფედ. 2 № 656-ში—ზეთმცემლობა. 3. დასვენდა, დაწყნარდა. 4. მეტის

მეტ ურცხვთა. 5. თაპაროს ქმარი დავით სოსლანი. 6. მას ვგონებ, იგი მიმაჩნია. 7. მაქსიმე აღმსარებელად მიმაჩნიაო.— შედარე ქართლის ცხოვრების მიერ დავითნიდამ ამოღებული სიტყვები დავით სოსლანის შესახებ: „უმცირეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა შორის და უბრწყმეს სახლსა შინა მამისა ჩემისასა, ბოლო თავედმან უფალმან აღმიღო და მცხო შეთითა ცხებულისა მისისათა“; ბოლო სახლსა შინა რუსულან დედოფლისასა იყო მოვე შეჩვენის ძეთაგან. რომელ არიან ოცნი, კაცი მძღუნნი და ძლიერნი ბრძოლასა შინა... ოსთა მეფისა შვილი იყო ყრმა იგი და გვარადცა ბაგრატიონი... ორთავე ყრბთა გვართაგან სახელმწიფო“

7. 1. ვალობს მერცხაღისებრ. ამ მერცხაღისებრ — აღონის ანუ ბულბულისებრ, 2. ლიბანი, მთა ნაძვისტყიანი. 3. სარო, მაღალი კვიპაროსის ხე. 4. შედარე: Я возвысился, как кедръ на Ливанѣ и какъ кипарисъ на горахъ Ермонскихъ; я возвысилась, какъ пальма въ Египтѣ и какъ розовые кусты въ Иерихонѣ (ზირაქი, 24, 14--15). ეს ათონის 976 წლის დაბადებაში (№471 გვ. 276) ასე დაუმახინჯებიათ: „ვითარცა ნაძვი ლიბანისა და ვითარცა სარო მთათა ერმონისათა და ვითარცა დანაკისკული ლიგარდს და ვითარცა ნურგი ვარდისა ვერ იქოს“ („იერიქოს“ გადაუტკეპიათ „ვერ იქოსნი აღ“). 5. აშგავსებს ასაფ მეფეს.

8. 1. ბლომ-ბლომად 2. წამსჰ. სასალუქად ანუსალუქად შესამკობად 4. შტახსი სურნელოვანი (რუს. სტაქტი). 5. სურნელოვანი² ხე დარიჩინის გვარისა. 6. № 656 — საბურად. 7. № 656 — შურად. 8. კინამო—დარიჩინი. 9. № 656 — ხარდა (სურნელოვანი ხეა (იხ. ქვემო 14)). 10. № 656 — სარო ხით (იხ. 14). 11. დაუნი. 12. ბერძნ. „მაკარიოტის, ნეტარი, ბედნეერი თუ „მიკოტი“ ქანია.

9. 1. შემქულო (იგულისხ. თაპარ მეფე). 2. ჰეაეზარ. 3. სილოამის საბანელი. 4. № 656 — ბილწთა. 5. № 656 — დასდასულებსა. 6. ასეა № 656-ში. დაბეკდილშია ახური. რომელიც არის იგივე ასული ანუ ოსური (მეგრ. ოსურ-კოჩი დედაკაცი.) 7. ასეა № 656-ში; დაბეკდილში: „მკერეტთა დასური“. ამ შემთხვევაში ძველი მართლწერით იქნებოდა: „მხნედ ხარ ასური (ოსური ქალი), მკერეტთადა სური. 8. დავითით. 9. სპარსთა ქალაქი რაღა დავითით. 10. მიწვეწული-ქმენ, მიაწი. 11. № 656 — უით.

10. 1. იგულისხმება დავით მეფე. მზრდელი მონათა, ე. ი. ლაშქრის. 2. იგლისის 23-ს მოდის ლომის ზოდიაქო. 3. ვისაც თავზე (თხემი=სვან. თხოვ, თავი) ერქვას, ეხუროს. № 656: „მადნართა ველნი... შემეუსრის, შეფქვის, თხემსა ვის ერქვის“. 4. კური — იარაღი, შესაკურავი. 5. უზარადო ჩაბალახი (რუს. „შლემ“).

11. 1. № 636 არჩილ; ჩუბინ. გამოცემაში — თამარ, ძველს ნუსხაში (1838 წ. დაბეჭდ.) — დავით. 2. აქ თავისთავად იგულისხმება დავით სოსლანი, თამარი სისხლჩქეფე კი არ იყო, არამედ „მმარხველ ცხრა ნეტარებათა და აღმასრულებელ ათთა მცნებათა,“ მან „იხმია ესევეთარი სიბრძნე — მეცნიერება და სიმშვიდე გონებისა ვიდრემდის ამისა განგებასა შინა და ცხოვრებასა მისსა არცათუ ტაჯგანაგი (იგივე ტაჯგანალა — მათრახი) უბრძანა ვისდამე დაკვრად, რამეთუ შორს იყო ყოვლისა მესისხლეობისა, თვალთა დაბნელებისა და ასოთა მოღებისა, არამედ აქუნდა ნება შიშისა და ზარისა დამდებელი, რომლითა უძრწოდა შიშნეულად ყოველი საბრძანებელი მისი“ (ქ. ცხ. 283). ესე იყო შინ. მაგრამ რადგან მეფე იყო, ამიტომ მისის სახელითა და დალოცვით იღვრებოდა უწყალოდ სისხლი საქართველოზე მოსეულ მტერთა... „აჲ ჩვენცა ხელნი ხმალსა და სულნი ღმერთსა!“ ამ სიტყვებით მიესეოდნენ მტერს და აგერ „დაათრვენეს ისარნი თვისნი სისხლითა, და ხრმალნი მათნი შკამენ ხორცთა მტერთასა“.. (ქ. ცხ. 306—307).

12. 1. დაბეჭდილშია „ცეცხლისა“ და № 656-ში „ცეცხლისა“. 2. დაბრუნ, შემოავლონ დაასხან. 3. ალაბასტრი სურნელოვან შესანახი კურკელი; სანელსაცხებლო. შეადარეპირველ ორსტრიქონს ქართლის ცხოვრების სიტყვები თამარის შესახებ: „დაიდვა თამარ გულსა თვისსა: **დასაბამი სიბრძნისა — შიში უფლისა**, სამართალი და წყალობა სწორად ყოველთა ზედა განეთინა მადლი ბაგეთა მისთა“ (გვ. 324). შეადარე: „დასაბამი სიბრძნისა — შიში უფლისა“ (ზირაკი, I, 15), „პოხა სიბრძნისა — შიში უფლისა“ (იქვე 16), „ძირი სიბრძნისა შიში უფლისა“ (იქვე, 20), „გვირგვინი სიბრძნისა შიში უფლისა“ (იქვე, 18).

13. 1. № 656: უსწორო ხარნით, გაიხარ ამით. დედანში ალბათ იყო: უსწორო ხარნით (ბერძნ. χαρμι ძღვევის სიხარული. ძღვევა — ამ შემთხვევაში იქნებოდა: „უსწორო ხარნით. გაიხარა მით: 2. დამმატებელი. 3. ამანტის უწყველი ხე (ხელნ. № 460, 13), 4. ბერძნ. მანტია, - წი-

ნასწარმეტყველო, მკითხავი, 5. ბერძნ. ადამას, ადამანტოს—რკინა, ფოლადი, ალმაჯი; რაც კი რამ მაგარია, ქალწულებრივი. ხ. იმ მზის სწორობათ, რომელიც კირჩხიბის (იენისის) ზოდიაქოშია:

14 1. უზვერული, უზუერული სუნნელოვანი ხეა: იაკობ შემოქმედელის „ფუტარში“ (გვ. 179) ჩამოთვლილია „სუნნელი ხეები“: ბალსაბონი, უზუერული, ბეს, მორდი, სარდაჲ, საროჲ. 2. სამირონე-ჭურჭელი მირონის შესანახად. 3. შროშანი-ლამაზი სუნნელი ყვავილი. 4. შროშანი—ლამაზი მგალობელი ფრინველი. 5. ხმა ტკბილად მგალობელი სირი. 6. სამხრეთი. 7. ძალუც ანუ ძალა აქეს, შეუძლიან.

14/2. 1. ეს შესხმა მარტო № 136-შია. 2.სა, სად,სადა. 3.ვირი წერებულა და გაუსწორებიათ გირი—დ, ხოლო გირი ანუ გირინი (მეგრ.) იგივე ვირი-ა. 4. ფრაზა ნასესხებია დავითნიდამ: „განმა, ვითარცა კეცი, ძალი ჩემი, ენა ჩემი სასასა ჩემსა აეკვა“ (ფს. 21, 15). „აეკეცნ ენაჲ ჩემი სასასა ჩემსა“ (ფს. 136, 6). აეკვა—მიეწება, მიეკრა.

15. 1. ზირაკი ბრძენი მწერალი ებრაელთა. 2. კრონოსი (სატურნი) დროს ღმერთი, მწუხარა მოხუცი. 3. ზენონი ფილოსოფოსი. 4. ათძალი—ათ სიმინი დასაკრავი. შეადარე: „შენსა სასმენსა ათძალი ჰქონდეს ქნარ სიტყვა რეკად“..თამარიანი (37) 5. ნასესხებია 91 ფსალმუნიდამ: „ათძალითა საფსალმუნისათა და კმითა ებნისათა“ (სლავიანურშია: „ვ დესიატიტრუნენმ ფსალტირი ს პესნიუ ვ გუსლეხ. 6. № 136:—ძლით. 7 ამ ოთხ სრიქონში მოხსენებულნია ერან თურანის გამრები.

16. 1. იგულისხმება თამარ დავითის ჩამომავლობა იესეს თესლი-საგან. 2. იგულისხმება ძველი გადმოცემა, რომ საქართველო მოსაქცევად წილად ხედაო ღვთისმშობელს. 3. №136-ში: „სვეტად სულისად, ზღუდედ შჯულისად.“ 4. აგარის ერნი, არაბნიდა შემდეგ ყველა მაჰმადიანნი. 5. იგულისხმება ხალიფაზე გამარჯვება მაშინ „შიში და ზარი დიდი იყო ყოველთასულტანთაზედა დალიცებოდანილოსი, ეფობდაეგვიპტე, მოაკლდებოდა ისმაილს, განიქტნებოდა აგარ, იკურთხოდა ისაკ, მოაკლდებოდა მაჰმადიანთა, ქრისტიანეთ ორღანონი ხმოვანობდეს კილით-კიდემდე. დაშრტა სასოება მუსულმანთა და **ხალიფას** პირით წყალობა ითხოვეს თამარისაგან: ხარკი აიღე ჩვენგანო, მახვილი დააყენეო და ჩვენი რბევა იკმარეო. თამარმა ხალიფასაგან მიიღო მრავალფერნი სამეფო ძღვენნი და ხვეწნა აუსრულა: ხარკი მოიტანეთ და ცხოვრება მოგანიჭოთო. მათაც შესრულეს (ქართ., 318). დავით სოსლანმა ხალიფა რომ შემუსრა, ხელთიგდო მისი დროშაც, რომელიც თამარმა მიუძღვნა გელათის ღვთისმშობელს

წარწერით: „ხალიფას დროშას თანავე მანიაკსა შევერთე ცრუ სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ მძღვანი, ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან, მოიროხნა, მოსრნა-რა სულტნითა ათაბაგი“.

17. 1. თაყუმი (№ 656—თაყუმი) ბედის გამოსაცნობი წიგნი. 2. მისნობენ სამისნო ხელოვნებით—რამლი. 3. №656-ში მისთავან, რადგან მე-5 სტრიქონშიაც არის „მისთავან“ 4. მძაფრად, ხასტიკად, ძლიერად. 5. № 656: „ესთქვა მე აწ რომე ვითა რომ იქმნას წვითა მნათობნი მძაფრად სხივთა მისთავან“. 6. ცქერით მზე ვერ სწორავს თამარს, თვისვე სხივებს მიპრიდაო.

18. 1. № 656—დავლად. 2. ქართლის ცხ., გვ. 278: შეიღთა სარტყელთა ცისათა სფეროსანთა—კრონოსს, ზევსს, აფროდიტეს, აპოლონს ერმის, ირაკლის და არეას შედასახა სფერო მიწიერი შეიღმნათობიერმა; აღებაძვა ზენასა მნათსა ქვენა ესე მნათი“ (ქ. ცხ., 278). 3. ხომლი, ხომი ვარსკვლავთ კრებული, პლიადა. 4. ქართლ. ცხ., გვ. 300: ყოველთა მისთა გამცდელ—გამხედველთა შეიპყრობდის წყალ-ჯავარობითა უმაგალითოით და სახითა ღვთივ ქმნულითა... იხილეთ თუ ვითარ სარტყურფა და მალნიტებრ მიმზიდველობა აქუნდა“ 5. № 656-ში: „მიწყვივ შევბითა და განცბრომითა“

19. 1. სპასპეტი—ლაშქრის თავი, ჯარის უფროსი. 2. ქალაქპეტი, ქალაქის თავი. 3. გოდოლი, მაღალი და მაგარი კოშკი, ციხე—დარბაზი. 4. ანაგები, აშენებული. 5. მაზრაკა მშვილდით სასროლი ისარი, 6. რაკა—რტყმა, განწონა. არ გვეგონია იგულისხმებოდეს „რაკა“ (მათე 5, 22: „რომელმან უთხრას ძმასა თვისსა „რაკა“, რომელ არს საძაგელ“). 7. ანაგები, განწონილი, გაყრილი. 8. ვინც თილისმობს. 9. იგულისხმება სარწმუნოებრივი კამათი ხრიზმოსებთან (სომხებთან). ემპაკმა გონების თვალი დაუყენა ზოგიერთებს და ხრიზმოსთ შეასაკუთრაო (ქართლ. ცხ. გვ. 312 -- 314).

20. 1. მყოფნი 2. შეადარე: „თამარ მხნე და წყნარი, ნარნარი და გონიერი.. ბრძენმან თამარ (ქ. ცხ., 288) 3. თაფლის პურივით მწვეთელი 4. მკმოლვარე, მბოლავი, მკმოლავი.. 5. არა სთნავს, არ ეპრიანება, არ მოსწონს. 6. შეადარე: თამარმა „არა დაუტევა მოქენე, რომელსაცა ზედა არა უხვებით მიპფინა წყალობა და სამართალი“ (ქ. ცხ. 279).

21. 1. „ვეფხვის ტყაოსანი“: „ქმნა მართლისა სავართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელდალ“ 2. ტრიონი (ბერძნ. თრიონ) მატყლის სამოსელი. 3. №656—სენატრიონი, სანატრი, იშვიათი. 4. საწმისი—მატყელი ცხვრისა ტყავითურთ, ბეწვეული ნ. ასეთი. 6. №656-ში: „აწ ესე ლომი, აბესალომი“; თამარიანში (14): „დასკვენს ომი. წაუძღვა ლომი დავით დავითის მიბაძებულად“; იქვე (93): თამარ „გტრფილობს ლომი აბესალომი ეფრემის ძირთა“ (დავით სოსლანი). დავით მოყმე ეფრემის ძეთაგან“ „დავით ძეებრ ეფრემის მოისარი“ (ქ. ცხ., 291, 310) 7. სად; რომელშია ც.

22. 1. ებრაული ტალანტი წონით უდრის ჩვენებურს 2 ფუთ 83 გირვ. და თითქმის 30 მისხ. ფულად 2580 მან. საზოგადოდ კი ტალანტი ნიშნავს რასმე ბევრს, გარდამეტებულს (ფულს, ნიჭს, მადლს და სხ.). 2. ბალანტი., ბერძნ. „ბალანტიონ“—ქისა, პარკი, ჯიბე.

23. 1. ბერძნ. აფთონია—უშურველობა, დაუზოგველობა, სიმდიდრე, მდიდარი საჭურჭლე, ხოლო აფთიონი—საჭე სამეფოს თუ ნავთა სამართი. 2. №656—ბძავს. 3. მთელს დამეს ათენსო სამეფო საქეს მომართვის ზრუნვაში. 4, №656—ზრახვანი. 5. №656—ვისცა.

24. 1. სად მალე. 2. მალვით, დასამალად. 3. ელიამ, მოსემ, ესრომმა, არამმა 4. თამართან, თამარისაგან. 5. დავით სოსლანით. 6. გამოვლია. 7. ჩაცმით, შემოსვით

25. 1. № 656:-შია უძლო. 2. ზირაქი ასრე მუსიკოდა: „ვინ გამოიძინეს საქმენი მისნი? ვინმე შეუძლოს განრაცხად ანუ ვის ხელეწიფოს მოთხრობად წყალობისა მისისა? (18,3—4); „მე, ვითარცა ვენახმან შევნიერმან, გამოვილე მადლი და ყვავილნი ჩემნი არიან ნაყოფ დიდებისა და სიმდიდრისა; ჩემდა სასოვბა ყოველთა ცხოველთა მძლიერებითა. შემომეხალენით მე, რომელთა გულმან გითქვას, და ხილითა მით ნაყოფისა ჩემისათა აღივსენით თქვენ. რამეთუ სახსენებელი ჩემი ტკბილ არს უფროს თაფლისა გოლგულისა. სახელი ჩემი უკუნისამდე და სახსენებელი ჩემი თესლითი თესლადმდე. რომელთა ჭამონ ჩემგან, მერმეცა უნდეს, და რომელთა სვან ჩემგან, მუნვე ესუროდის: რომელთა იხმინონ ჩემი, არა სადა რცხვენოდის, და რომელნი მყვარობდენ მე, მათ არა სადა სცოდონ; რომელთა მახარონ მე, ცხოვნიდენ უკუნისადმე“ (იქვე, 24).

26. 1. № 656 --უკვდავება. 2. № 656 --თვით. 3. № 656 --ძალ-
მის. 4. № 656 --ტურფად. 5. იგულისხმება შთამომავლობის ხე ბაგ-
რატიონებისა, რომელსაც ეკუთვნოდნენ თამარი და მისი ქმარი. 6. სირი
--ფრინველი. 7. სირა წესი, რიგი. 8. გარემოთხზვა, გარეშემოვლება,
შემოწვნა. 9. გარდაიტანე, შეიხვედრე. 10. მივხვდი, შევიგნე. 11. შეა-
დარე: თამარის „ყოვლისა მამაკობისა მიმართ სიმარჯვენი, ოდესმე რაინ-
დობანი და მხედართა სიხელოვნენი და მკვირცხლ მოქმედებანი, ოდესმე
ნარნარად, მშვიდ და წყნარად მეტყველებანი და სიბრძნით შეპასულებანი“
(ქ. ცხ. 284).

27. 1. ვურთეთ, დავურთეთ. 2. ოროლი-ჰოროლი--ჰორლი, ორ-
პირი გრძელტრიანი შუბი. 3. თამარს მეფობა ისაკებრ კურთხევით
შეხვდაო, ე. ი. შემთხვევით. 4. იგულისხმებს სალიმის მეფეს და მღვდელს
მელქისედეკს, რომელმან აკუთხა აბრაამი, დაბრუნებული ქოდორგომო-
რის მეფის წინააღმდეგ გალაშქრებიდამ. 5. იგულისხმების თამარ
მეფე რომელმან მეფობა („უფროსობა“) მიიღო მამის დალოცვით

28. 1. ვისაც ამთ განაწონეს ლახვარი. 2. გმირთ უგმირესი.
3. № 656-ში „ღვთისასა მზისა“-4. № 656-ში:“ უტკბოს სძისა
და“. 5. ბაალი ღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ფინიკელნი, ბაბილო-
ნელნი, ქალდეველნი და ებრაელნიც. მსხვერპლად სწირავდნენ
კაცს. 6. მოლოქი ანუ მოლოხი კერპი, რომელსაც ტანი ადამიანისა
ჰქონდა, ხოლო თავი ხარისა. მას სწირავდნენ ბავშვებს. 7. ქამალი
ანუ ქამელი, დაწინდული ქალები მსხვერპლს სძღვნიდ-
ნენ ქორწინების წინ. 8. დედათ ღმერთი ფინიკელთა, სირიელთა და კარ-
თაგენელთა, ცისა და ვარსკვლავთ გამომსახველი. აწ ვენერა. აქ იგულის-
ხმება თამარის სარწმუნოებრივი ბრძოლა სხვა და სხვა მწვალებლებთან,
რომელნი, ერთის მხილების შემდეგ, „ვითარცა მყვარნი უტბონი, ეგრეთ
დგეს უხმოდ, ქვეყნად მხილველნი, ვითარცა ძველ ოდესმე მღვდელნი ას-
ტრატენი“ (ქ. ცხ. 317).

29. 1. უნე--ჰუნე, დიდი ჯიშ-გვარიანი ცხენი. 2. იგულისხმება
თამარის ქმარი. 3. № 656 --ეს. 4. დაერია. 5. მოერია. 6. გრიგალქარი
ანუ ქარიშხალი. № 656: „რჩეულნი... დარჩეულნი... დაცვარულნი...
გრიგალ-ქარულნი“. შეადარე: „ათსა დღესა შინა, ვითარცა გროი შავარ-
დენტა. მოჰფრინდა ყოველი მხედრობა... მაშინ აღიჭურვა მეფე (დავით

სოსლი) და შეჯდა ზერდაგსა (ყვითელ **შავს** ცხენზე, რომელი სახელგანთქმულობისათვის ეყიდა ვახტანგ საჩინოელისაგან, ფასად ებოძა ციხე და სოფელი—ჭარბანანი“ (ქ. ცხ., 305); ქვემოთ მე-49 შესხმაში: „ვით მზე ღალიად, ეგრეთ მაღიად მორბედად შავსა ტაიქსა ზე ზისა“.

30. 1. დარწყმა--დაგება. 2. № 656—წარმართთა. 3. მარზაპანი (№656-ში მარზანპანი)—ბოქაული, რაზმის ანუ მაზრის უფროსი. შეადარე: „ეუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია“ (ვეფხ. ტყ. 388). 4. № 656—მათთა. 5. ნანად (იქვე). 6. დავით, ე. ი. ჩხუბით. ზოდოლით. 7. ორკეცად.

31. 1. ზმით, ქმნით. 2. დავით აღმაშენებლამდე ქართული დროშა იყო „გორგასლიანი“, ე. ი. ვახტანგ გორგასლისა და მის შემდეგ მეფეების მიერ სვიანად ხმარებული; აღმაშენებელს მერე იგი დროშა იწოდა **დავითიანდაც**. 1210 წელს თამარმა „განიხილა სპანი თვისნი. მოილო დროშა, სვიანად ხმარებული, **გორგასლიან-დავითიანი**. დროშა და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს“ (ქართ. ცხ., 329). 3. ამდენი (ძველად: ამზომ—ეგზომ; სვან. ამზუმ—აჯზუმ; ეზომ—მეგრ ეზმა). 4. მის მიღმართ, მის წინად. 5. ასეა № 656-ში. ნუსხაში „ხმა როსტომითა“.

32. 1. ვგულისხმობ. 2. ვამეყს და ვისს, ე. ი. მებრძოლ მტრებს 3. არათუ მოყვასს. იგივე № 656-ში: ვზმობ ვამეყისა, არათუ მეყისისა“. 4 დაშქრა, აკაფა. 5. დასერა, სერი გაუმართა 6. აქიგულისხმება შანქორის ომი: „ხმაღნი შქამდეს ხორცთა მტერთასა. შესდევს მახვილი და ძალი ღვთისა მტერთა, ათკეცი რაზმი მათი დასხნეს: ვითარცა თაგვთა მოსვრიდეს და ვითარცა ქათამთა იპყრობდეს დიდთა ამირათა მათთა—ბაღდადელთა და მუსულიელთა, ავრიელთა, ადარბადაგანელთა და ერანელთა და სხ. წვერთა ზიდვითა მოიყვანებოდეს წინაშე დავით მეფისა. და იონაერეს ქალაქნი. თვით (დამარცხებულნი მტერნი) მოიღებდეს ნაქონებთა მათთა და თვით მოასხმიდეს აქლემთა და ჯორთა კიდებულთა და თვით იყვნეს მსახურ იავარისა მათისა და ნატყვევანვისა. მადრასათა წილ აღმართეს ეკლესიანი. მყივართა წილ რეკეს ძელსა და ნაცულად მუყრთა ღალადება მღღელთა. გამოეგებნეს (დავით სოსლანს) დიდებულნი და დიდ-ვაჭარნი, ყადი და მუსალიმი, დავრდომით მიწასა ზედა თაყვანისცეს, შეასხეს ქება დავით მეფესა, და ცრემლით მოქენეთა შეავედრნეს თავნიდა შვილნი მშვი-

დობა ითხოვეს; განახენენ კარნი ქალაქისანი და მოუფენდეს სტავრასა კართამდის სრასა სასულტნოსა და გარდასხმიდეს თავსა ოქროსა და ვერცხლსა, ღრამასა და ღრაჰკანსა. ვითარცა შევიდა სრასა სასულტნოსა, აღვიდა და დაჯდა ტახტსა სულტანისასა და შეიქმნა დარბაზობა. მაშინდელი ზეიმი და ზარი ვისმანცა ენამ გამოთქვა ანუმცა, ვისი გონება მისწვთა მეფობასა და სულტნობისა ერთად მქონებლობასა, ააბაგის ძის და შარვაშეს ყმად ყოლასა, მუსულმანობისა ტყვე ქმნასა! შეიქმნა პურობა, ნადიმობა შესატყვისი.. ხორცითა ღორისათა ქმნეს პურობა“ (ქ. ცხ., 307—308).

